985ჰ.

№ 27

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

# „თეატრი და ცხოვრება"

ფასი 20 მანეთი

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 300 მან. თითო ნომერი — 20 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ქართ. ბეჭდვითი ამხ. სტამბაში, რუსთ. პრ. № 26. წერილები და სხვა ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს თბილისი რედ. „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს.

ტელეფონი № 4—73.

დაარსების წლიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, მკათათვის 25 | გამოცემა 1920 წ.



ბენია ჩხიკვიშვილი

ძველი პოლიტიკური დამსახურებული მოღვაწე, წევრი დამფუძნებელი კრებისა ქალ თბილისის მოურავი, ამ ჟამ დ ქ. ბათომისა და მისი ოლქის საგანგებო კომისარი, რომელიც მტკიცედ შეუდგა ამ კუთხის საქართველოს მტრებისგან გაწმენდას. (ნახატი კ. ქავთარაძისა



პიანისტი ლეონიდე კნინა

(იხ. ამავე ნომერში „სამგლოვიარო ფურცელი" გვ. 5)



ვარ. ჩერქეზიშვილი

(იხ ამავე ნომერში „ჩვენი მოღვაწენი" გვ. 2)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სახელოვნო დღიური

ხელოვნება მზის სხივივით სპეტაკია, ცის ნამივით უბიწო, მთის ნიავივით წმიდა. როგორი უნდა იყოს მისი მსახური?—ცხადია, სპეტაკი, უბიწო, წმინდა.

ცარიელია ეკლესია-ტაძარი, რომლის ქურუმ-მოძღვარიც ბიწიერია, გარყვნილი.

ასევე „ცარიელია“, ე. ი. მრევლნაკლები ხელოვნების ტაძარი, ყოველი მისი დარგი, რომლის ქურუმ-მოძღვარს სათანადოთ ვერ დაუცავს საზოგადოებრივ თვალსაზრისით მოთხოვნილი ზნეობრივ-გონებრივი სიწმინდე-სისპეტაკე.

ცხოვრების დღენი რომ ლოთი-ფოთობაში გაატარო, გარყვნილობით ისუნთქო, ბიწიერებაში ჩაეფლო- განა შენს ნათქვამს ერწმუნება ვინმე?—

ჯერ კიდევ ძველი ბრძენი გვასწავლიდა: „მოძღვარო, განიწმინდე თავი თვისიო!“

დაე, ისმენდეთ, რომელს გაქონან ცოდვანი და გას ხიან ყურნი!..

# ქართული თეატრის კარი იღება

ბევრი, ძლიერ ბევრი აზრი თქმულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და ეჭვს გარეშეა კიდევ ბევრი რამ ითქმის თეატრის დიდ მნიშვნელობაზე და მის აუცილებელ საჭიროებაზე. კერძოდ ჩვენს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-შიც მრავალჯერ აღნიშნულა თეატრის განსხვავებული მნიშვნელობა, როგორც სარკე და შემეცნება ჩვენი ცხოვრების იდეალებისა. ამასთანავე მკითხველი ხშირად ამოიკითხავდა იმ სამართლიან უნუგეშო მდგომარეობას, რომ ქართული თეატრის კარი დღეს გამოკეტილია, სიკვდილის პირას არის მიმდგარი და ნელ-ნელა, შეუმჩნევლად უკან მიდის და კვდებაო...

საბედნიეროდ დრონი იცვალნენ: უიმედობისა, უსიცოცხლობისა და უმოძრაობის დრო გაქრა, წავიდა, წარსულმა დაისაკუთრა და დღეს ჩვენ ვიცით უკვე, რომ ქართ. დრამატ. საზ-ის გამგეობამ მხნედ, მტკიცედ და შეურყევლად მოჰკიდა ხელი ჩვენი დავრდომილ თეატრის საქმეს.

ვიცით, რომ თეატრს (კერძოდ ჩვენში) [redacted]ლთვის მომატებული ფული ეჭირება იმაზე, რაც შემოსავალი აქვს. ამ მომატებულის შოვნა ჩვენს თეატრის მესვეურთ ყველგან და ყოველთვის საგონებელში აგდებდა, დღეს კი ჩვენმა ღირსეულმა მთავრობამ ხელი გაუწოდა ქართულ თეატრს და უკვე გადასდო მისთვის თვალსაჩინო თანხა და სხვა იმ რწმენით, რომ ქართული ხელოვნება გაიზრდება, განსპეტაკდება და გახდება ერთ-ერთ უცილობელ იარაღად ჩვენს ცხოვრებაში ჩვენი ხალხის გრძნობა-გონების და გემოვნების ასამაღლებლად.

დრამატიულ საზოგადოებამ, როგორც აღვნიშნეთ, ფართე მასშტაბით დაიწყო უკვე წინასწარი მუშაობა მომავალ ზამთრის სეზონისათვის. მოხდენილია ყველა ქართ. სცენის მოღვაწე—მსახიობთა მობილიზაცია, შემდგარია დასი, სადაც თავმოყრილი აქვთ ყველა ცოცხალ, ენერგიულ და თვალსაჩინო პირთ. მიძინებული ჩვენი თეატრი, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ფეხს აიდგამს და გახდება ნამდვილი სადგური ქართველის სულისა, საცა ყველას შეძლება მიეცემა დაინახოს თავისი წარსული, აწმყო, თავისი ზნე, თავისი ადათი თუ ჩვეულება, ლხინი და ჭირი, სულისა და გრძნობის მოძრაობა.

ყველა ქართველი ამით დაისვენებს და დასტკბება მშობლიურის სიტყვა-გრძნობით და ათრთოლდება მამულის პატივისცემითა და სიყვარულით.

და ეს მოხდება მაშინ, როდესაც ასე მტკიცედ და ენერგიულად დაწყებული საქმე ბოლომდე გასტანს მტკიცე და შეურყეველის ერთსულოვნებით, შრომის მოყვარეობით და ერთი ერთმანეთის პატივისცემით.

მაშინ ჩვენი თეატრის მოღარესაც ვერასოდეს ვერ დაინახავთ, დაღვრემილი გამოიყურებოდეს თავის ყაფაზიდან.

ვ—ე

# შენი ღიმილი

შენი ღიმილი მე მაგონებს მზის ქორწინებას.
მავიწყებს სევდას, ჩემს ოცნებას ესხმება ფრთები!..
ვეძლევი შვებას, ალტაცებას, თავდავიწყებას.
შენი ღიმილი მე მაგონებს მზის ქორწინებას....
და როს მომესმის სიყვარულის ეგ შენი ხმები,
მე ვტარიელობ, თვით ბუნებას ვართმევ მის ნებას,
შენი ღიმილი მე მაგონებს მზის ქორწინებას,
მავიწყებს სევდას, ჩემს ოცნებას ესხმება ფრთები!

აპ. კულაშელი

# ჩვენი მოღვაწენი

ვარ. ესტ. ჩერქეზიშვილი

(სურათი იხ. 1 გვ.)

ჩერქეზიშვილი, ვარლამ ესტატეს-ძე, — პოლიტიკური მოღვაწე-მწერალი, დიაბ. თოხლიაურს (გარე-კახეთში) 1846 წ., ენკენ. 15-ს. 10 წლის გაგზავნეს მოსკოვს, სადაც სამხედრო გიმნაზია დაასრულა. 1866 წ. უმაღლეს სწავლის მისაღებად შევიდა პეტროვსკის აგრონომიულ აკადემიაში, მაგრამ იმავე წლის აპრილში დააპატიმრეს, როგორც კარაკოზოვის ჯგუფის წევრი, და პეტრე-პავლეს ციხეში მოათავსეს, (კარაკოზოვი პირველი შეეცადა ალექსანდრეს მოკვლას). პატიმრობიდან გაანთავისუფლეს 1867 წ., იანვრის 1-ს, მაგრამ 1869 წ. ქრისტეშობისთვეს ნეჩაევის საქმის გამო იგი კვლავ დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში მოათავსეს. აქ დაჰყო 1873 წ. ნოემბრამდე, შემდეგ გაგზავნეს ციმბირს ქ. ტომსკში, სადაც იმყოფებოდა 1876 წ. იანვრამდის. ტომსკიდან მოსკოვ-პეტერბურგით საზღვარ-გარედ გაიქცა, სადაც 1906 წლამდის ემიგრანტობდა. პირველ რევოლიუციის შემდეგ დაბრუნდა პეტროგრადს, ხოლო აქედან—თავის სამშობლოს დედაქალაქში. ციმბირიდან გაქცევისას ხალხოსნებმა ლონდონს წასვლა სთხოვეს. აქ, ლავროვთან ერთად, „ვპერედ-“ში თანამშრომლობდა და რვა თვის განმავლობაში უძღვებოდა აღნიშნულ ორგანოს შინა-ეკონომიურ განყოფილებას. აქ ათავსებდა წერილებს საერთო სათაურით: „ზა დვე ნედელი“; იმავე წლის დეკემბერს გადასახლდა ჟენევაში, სადაც დმ. კლემენსთან და სხვა ახალგაზრდა ემიგრანტებთან ერთად, სტეპნიაკის

ეროვნული ბიბლიოთეკა



(კრავჩინსკი) *) თანამშრომლობით სცემდენ რევოლიუციურ-სოციალისტურ ორგანოს („ობშჩინა“). 1877 წ. ჟენევაში ყოფნის დროს ჩ-ი შევიდა პირველ ინტერნაციონალის იურისფედერაციაში, სადაც ელიზე რეკლიუსთან, პეტრე კრაპოტკინთან, ჯემს გილიომთან, ჟან გრავთან და სხვა ანარქისტებთან ერთად 1902 წ-დე აქტიურ მონაწილეობას იღებდა კონგრესებში, პერიოდულ გამოცემებში—„ლე რევოლტე“. ,,ლა რევოლტე, ლე ტანნუვო‘‘ ინგლისურ ,,ფრიდომ‘‘-ში და სხ. 1904-1905 წ. პ. კრაპოტკინის და კომანდო გოგელიას თანამშრომლობით სცემდნენ ანარქისტულ-კომუნისტურ გაზეთს ,,ხლებ ი ვოლია‘‘-ს. ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ რევოლიუციონურ წერილების გარდა ცალკე წიგნაკად გამოიცა 1896 წ. ,,პაჟ დ‘ესტუარ სოციალისტე‘‘ რომელიც გადაითარგმნა ინგლისურ, ჰოლანდიურ, იტალიურ, ესპანიურ ენებზე, იგივე გადაითარგმნა მცირეოდენ შემოკლებით ჩინურ და იაპორურ ენებზე და მოთავსდა სოციალისტურ ჟურნალებში. რადგანაც ეს იყო პირველი შრომა, სადაც ციფრებით მტკიცდება, რომ მარქსის კანონი კაპიტალის კონცენტრაციის შესახებ არ არსებობს და რომ კაპიტალისტების რიცხვი კი არ იკლებს, არამედ მატულობს. მეორე წიგნი გამოვიდა 1902 წ. „Предшественики Интернаціонала“, სადაც მოკლედ მოთავსებულია ოვენიზმი, სენ-სიმონიზმი, ფურიერიზმი, ლუიბლანის სისტემა, პრუდონის მუტუალიზმი და სხ. გადაითარგმნა რუსულ ენაზე; 1906 წ. გამოიცა მოსკოვში რუსულ ენაზე „Доктрины Марксизма“, სადაც პირველად პარალელურ ციტატებით ნაჩვენები იყო, რომ გერმანულ კომუნისტების, მარქსის და ენგელსის მანიფესტის თეორეტიული ნაწილი აღებულია ფურიერისტის ვიქტორ კონსიდერანის „Manifeste de la demokratie du dix-neuvirème siecle‘‘-დან, რომელიც პირველად გამოიცა 1840 წ. მეორედ 1843 წ., კომუნისტების მანიფესტი გამოვიდა ლონდონში მხოლოდ 1849 წ. იმავე წიგნში დამტკიცებული იყო, რომ ენგელსის კარგად ცნობილი წიგნი „მუშათაკლასის მდგომარეობა ინგლისში“ „Die lage der arbeitenden klasse in Enqland“ მთლად გადმოღებული იყო ფრანგ მეცნიერის ბიურეს წიგნიდან De la Misére de la classe ouvriere en Angleterre et en Fvance, რომელიც გამოიცა 1840 წ. და დაჯილდოვებულ იქმნა საფრანგეთის ზნეობრივ მეცნიერებათა აკადემიის მიერ. იმავე 1906 წელში თბილისში გამოვიდა პატარა წიგნაკად რუსულ ენაზე „Наконецъ то сознались!“ კომუნისტების მანიფესტის პლაგიატის შესახებ, რადგანაც ამ დროს კაუცკის ნაწერი ჩ-ის წინააღმდეგ მიმართული მოთავსებული იყო ქართულ გაზეთებში.

1883 წ. ჩ-ი თბილისში ჩამოვიდა საიდუმლოდ და ქართველ მოწინავე საზოგადოებას არცხვენდა, ტრაქტატის ძალით უფლება გაქვთ მოითხოვოთ სამშობლოს თავისუფლების აღდგენაო. ასეთ სიტყვებს სხჯაროდაც იძახდა.

1882 წ. ილ ჭავჭავაძის თვიურ ჟურ. „ივერია“-ში დაიბეჭდა წერილი ,,სლავთა აღორძინება‘‘, რომელიც სთარგმნა და წინასიტყვაობა წარუმძღვარა განსვენებულმა კ. ბაქრაძემ. როგორც აღნიშნული ნაწერი, ისე შემდეგი წერილები ითარგმნებოდა ქართულად მისი მეგობრების მიერ. გაზეთ ,,ივერიაში‘‘-ში 93-94-95 წლებში თავსდებოდა მისი ,,წერილები ინგლისიდან‘‘, „ვაზიანის“. ფსევდონიმით. შემდეგ „წერილები“ იბეჭდებოდა „ცნ. ფურ.“-ში (1900—1905).

1886 წ. „Times“-ში მოთავსდა პირველი მისი წერილი ,,საქართველოს ხელშეკრულობა რუსეთთან‘‘. ინგლისურ თვიურ ჟურნალში „მეცხრამეტე საუკუნე“ 1895 წლის მეხუთე ნომერში მოთავსდა მისი დიდი წერილი საქართველოს მიერ რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების ამ ხელშეკრულობის დარღვევის და ქართველ ერის დაჩაგვრის შესახებ.

გურიაში 1906 წ. რუსების მიერ ჩადენილ სიმხეცის გამო ქართველმა ქალებმა მოწოდებით მიმართეს ინგლისელ ქალებს. ხსენებულ მოწოდების მიღების უმალვე 4 ათასმა ინგლსელმა ქალმა პროტესტით მიმართა თვის მთავრობას, ხოლო თანაგრძნობის ნიშნად და შემწეობის აღმოსაჩენად გამოგზავნეს ვ. ჩერქეზიშვილის მეგობარი ქ-ნი დრაიხორსტი ამ გარემოების და თბილისში მომხდარ ამბების შესახებ ჩ—ლის წერილი მოთავსდა ჟურ. ,,პრომეთე‘‘-ში 1918 წ. 1907 წ. თბილისში ყოფნის დროს გ. გვაზავას და მიხ. წერეთლის თანამშრომლობით გამოვიდა რუსულ ენაზე ,,Грузинская мысль“, სადაც მეთაურში რუსეთის მთავრობას მოეთხოვა 1783 წ. ხელშეკრულების დაცვა.

გაზეთი პირველ ნომრის შემდეგვე დაიხურა. 1907 წლ. საქართველოში დაიწყო აგიტაცია ავტონომიის მოპოვების შესახებ. ამ დროს ჩ-ის ინიციატივით შედგენილ იქმნა პეტიცია, რომელიც თვითვე წაიღო ლონდონს და გადასცა ქართულ-ინგლისურ საზოგადოებას, რომელმაც წარუდგინა იგი ჰააგის კონფერენციას. 3 კვირის განმავლობაში აღნიშნულ პეტიციას ხელი მოაწერა ოთხი ათასმა კაცმა. ხელს აწერდა როგორც სასულიერო წოდება, ისე თავადაზნაურობა, გლეხობა და მუშები. 1910-1912 წ. ჩ—ლი გამოვიდა ლონდონში შემდგარ დაჩაგრულ ერთა (ეგვიპტე, ფინეთი, ინდოეთი და სხ.) ორ კონგრესზე. მისი მოხსენებანი დაიბეჭდა კონგრესის ოქმებში. როდესაც გერმანეთმა გამოაცხადა ომი და დაიწყო ბელგიის განადგურება, სოციალისტების და რევოლიუციონერების შორის მოხდა განხეთქილება, ზოგი გახდა პაციფისტი, ზოგი პარაჟენცი, ზოგი კიდევ გერმანოფილი, ჩ—მა, პ. კრაპოტკინმა და მათმა მეგობრებმა გამოსცეს დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნავდენ, რომ ყოველმა პატიოსანმა ადამიანმა უნდა დაიცვას განადგურებული ბელგია და რევოლიუციური საფრანგეთი. მან მოათავსა ფრანგ სინდიკალისტების პარიზის ორგანოში ,,La Bataille“ წერილი „Sauvous l'heritage des grandes revolutions‘‘, რომელიც გადიბეჭდა შვეიცარიის გაზეთ ,,Libre Pensée‘‘-ში იგივე გამოიცა ცალკე წიგნაკად უფასოდ დასარიგებლად. რევოლიუციის შემდეგ 1917 წ. დაბრუნდა საქართველოში. 1918 წ. ოქტომბერში მთავრობამ გაგზანა იგი დელეგატად პარიზის კონფერენციაზე. პარიზში ყოფნის დროს მან დაბეჭდა ,.La Revue de Paris‘‘-ში წერილი ,,La Georgie ses traditions et ses droits politiques‘‘, რომელიც შემდეგ გამოვიდა ცალკე წიგნაკად.

1906-7 წ. ვ. რცხილაძესთან, დ. დიასამიძესთან და სხ. ერთად დაარსა ჩვენი სახალხო უნივერსიტეტი*).

*) „პოდპოლნაია როსსია“ „კარიერა ნიგილისტოვ“ და სხ. ავტორი, რომელმაც 78 წ. დღისით, ქუჩაში მოკლა მესამე განყოფილების ანდარმთა შეფი მეზენცევი.

*) ამოღებულია იოსებ იმედაშვილის ,,ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი‘‘-დან.

# ბათომს

ბრძოლის ალმა, ბრძოლის ცეცხლმა,
დასწვა ხალხი, დასწვა ერი,
დაიტანჯა და გაწამდა:
ქალი. კაცი, ყრმა, თუ ბერი,
და ამ ცეცხლში გაიჭედა
სისხლის ღვარით ქართლის ბედი—
მკვდრეთით აღსდგა, დაიბადა:
ერის შვილი—რწმენის გედი!

**ი. რეხვიაშვილი**

# ჭიათურის სახალხო თეატრი

იმ შავბნელ დროს, როდესაც ჩვენში რუსი ბატონობდა, სახალხო თეატრი, როგორც საზოგადო მოვლენა არ არსებობდა. იყო ქართული დრამატიული საზოგადოება თბილისში და მსახიობთა დასი, რომელიც ჰმართავდა წარმოდგენებს როგორც დედა ქალაქში, ისე პროვინციის ქალაქებში. სისტემატიური მუშაობა მხოლოდ თბილისში სწარმოებდა, სხვა ქალაქები კი მხოლოდ გასტროლებით კმაყოფილდებოდა.

ქართული თეატრი, რა თქმა უნდა, დიდი კულტურული მისსიის მატარებელი იყო მაშინ, მაგრამ ის, რასაც ჩვენ ვეძახით სახალხო თეატრს, რომელიც ხალხის გათვითცნობიერებას ემსახურება და არ წარმოადგენს მარტოოდენ გასართობ სანახაობას, ასეთი თეატრი მაშინ არ არსებობდა. ასეთი დაწესებულება და მუშაობა იმ დროს სასტიკად იდევნებოდა.

ხალხის, დემოკრატიის გათვითცნობიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ სახალხო თეატრს, რომელიც მისთვის წარმოადგენს არა მარტო გასართობ დაწესებულებას, არამედ ტრიბუნას ცოდნისა და კულტურის ტაძარს. აქ მომუშავენი მასალას არჩევენ არა იმის მიხედვით, თუ რა სანახაობა-თამაშა უფრო მეტ ხალხს მოიზიდავს, არამედ იმის მიხედვით, თუ რა უფრო მისწვდება ხალხის სულსა და გულს და რა გაუნათლებს მას გრძნობა—გონებას. ამაშია უმთავრესი და სერიოზული განსხვავება ჩვეულებრივ თეატრსა და სახალხო თეატრის შორის. განსხვავებაშია უარყოფითი მხარეები პირველისა და დადებითი მეორესი. იმ დროს, როდესაც პირველი, ე. ი. ჩვეულებრივი ქალაქის თეატრი ემსახურება უსაქმურობით მოქანცულ და მოწყენილ შეძლებული ელემენტების გართობას, მეორე—სახალხო თეატრი მუშაობს შრომით დაქანცულ მაშვრალთა სულიერად დატკბობისა და გონებრივად განვითარებისათვის.

პირველი დაინტერესებულია უმეტესად დიდი შემოსავლით, ეგრედ წოდებული „სბორებით“ და ამ შემოსავლით იზომება ნაყოფიერება მათი მუშაობისა; მეორე კი დაინტერესებულია—ფასების გაიაფებით საშუალება მისცეს ხალხს, რაც შეიძლება მეტი მსმენელი დაესწროს და რაც შეიძლება მეტი მასალა მისცეს მას ზნეობრივ და გონებრივ განვითარებისათვის.

ამ ინტერესთა სხვა და სხვაობისგან წარმოსდგება სხვა და სხვაობა მათი რეპერტუარისა და მუშაკთა შემადგენლობისა. პირველში მხოლოდ დაქირავებული პროფესიონალები მუშაობენ და ეძიებენ უკეთეს შემოსავალს, მეორეში კი-განსაკუთრებით იდეიური უანგაროთ მომუშავე ხალხია, რომელიც უფასოთ და უსასყიდლოთ სწირავს თავის შრომას სახალხო კულტურის საქმეს.

აი, ეს არსებითი განსხვავება იყო მიზეზი იმ დაუკმაყოფილობისა, რომელსაც ყოველთვის გრძნობდა თბილისის დემოკრატია ჩვეულებრივ თეატრში და ამან აიძულა იგი თვით შეექმნა საკუთარი—სახალხო თეატრი.

და გაჩნდა დემოკრატიისათვის კარგად ცნობილი ეგრედ წოდებული „ავჭალის აუდიტორია“ თბილისში. მას მოჰყვა ნაძალადევის სახალხო თეატრი და სხ.

აქ თავი მოიყარა მშრომელმა ხალხმა, საკუთარი ძალებით შეადგინეს სცენის მოყვარეთა ჯგუფები და აწარმოეს დიდი კულტურული მუშაობა, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის დემოკრატიის, მუშა ხალხის გათვითცნობიერებისა და დიდი ბრძოლისათვის მომზადებაში.

დედა ქალაქში, ამ რიგად, რამოდენიმედ შეივსო მშრომელი ხალხის გულნაკლულობა ამ საქმეში. მაგრამ პროვინცია ღვთის ანაბარად იყო დაგდებული.

1905 წ. მოძრაობამ ხალხი გამოაფხიზლა, ქალაქში გაწვრთნილი მუშები პროვინციას და სოფელს მოეფინენ და ყველგან შეიტანეს შეგნება, ხალისი და გამბედაობა.

თუმცა რევოლიუცია დამარცხდა მაშინ, მაგრამ რეაქციამ მაინც ვერ შესძლო დაეთრგუნა საუკუნოებით უკვე მონობის ფსიხოზიდან განთავისუფლებული ხალხის სულისკვეთება და სითამამე.

ბრძოლაში დამარცხებამ გული ვერ გაუტეხა მშრომელი ხალხის მოჭირნახულეთ და გაათკეცებული ენერგიით და ხალისით შეუდგნენ უანგაროთ მძიმე მუშაობას ხალხში განათლების და შეგნების ამაღლებისათვის. ახალი ბრძოლისათვის ამზადებდნენ მას.

— —

სწორეთ ასეთი იყო სულისკვეთება იმათი, ვინც ჩაუყარა საფუძველი ჭიათურის სახალხო თეატრს.

ეს მოხდა 1906 წ. ივლისში. მაშინ შესდგა მუდმივი სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც დღემდის, 14 წ. განმავლობაში, მუშაობს შეუწყვეტლად.

მანამდის ჭიათურაში არსებობდა სცენა და დარბაზი, რომელსაც ინახავდა მრეწველთა საბჭო და აქ მართავდენ წარმოდგენებს ათასში ერთხელ შემთხვევით „სბორებისათვის“ ჩამოსული მსახიობები. იშვიათად გამართულა წარმოდგენები მოხალისე სცენის მოყვარეთა მიერ, ისიც შემთხვევითა და უმეტესად საქველმოქმედო მიზნით.

ასეთ მუშაობას, რა თქმა უნდა, ექნებოდა არც გარკვეული მიზანი, არც სისტემა და არც რაიმე სარგებლობის მოტანა შეეძლო მშრომელი ხალხისათვის

ამნაირ მდგომარეობას ველარ შეურიგდებოდა ის ხალხი, რომელმაც გაიარა 1905 წ. რევოლიუციის ქარცეცხლი და უმეტესათ ეზიარა თბილისიდან და ბათომიდან ჩამოტანილ ახალ მაცოცხლებელ აზრებს.

დაარსებული სცენის მოყვარეთა წრე დაუყონებლივ შეუდგა სისტემატიურ მუშაობას და თავის გარშემო შემოიკრიბა მთელად ადგილობრივი კულტურული ძალები. ჭიათურის თეატრმა მყისვე მიიღო სახალხო თეატრის სახე და იგი გადაიქცა ცენტრად მთელი კულტურული მუშაობისა ადგილობრივ.

სცენის მოყვარეთა წრის ხელმძღვანელებმა ითავეს დრამატიული საზოგადოების დაარსება, რომელიც იმავე წელში შემდგომაზე უკვე მოქმედებას შეუდგა და წრესა და მის შორის განაწილდა შრომა: სცენის მოყვარენი მართავდენ წარმოდგენებს, დრამატიული საზოგადოება კი ზრუნავდა ბინის მოწყობისათვის, ყოველგვარი ხელსაწყოს და სახსრის მიწოდებისათვის.

ეს მუშაობა მეტად ნაყოფიერი გამოდგა. იმდენად გაღონიერდა საქმე, რომ დრ. საზოგადოებამ შესძლო მოეწვია წრის ხელმძღვანელად ვალ. შალიკაშვილი, რომელმაც აქედან დაიწყო თავისი მოღვაწეობა როგორც რეჟისორმა და დიდი სახელიც გაითქვა.

ჭიათურის თეატრში დაიწყო მოღვაწეობა პირველად საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეხლა კარგად ცნობილმა რეჟისორმა ა. წუწუნავამ. ამავე თეატრში გამოიწაფა ბევრი ახალგაზრდა მსახიობი, რომელთაც ეხლა საპატიო ადგილი უკავიათ ქართულ დასში.

იმ თავითვე ჭიათურის სახალხო თეატრმა მიიქცია საერთო ყურადღება ქართული საზოგადოებისა და ბევრმა კუთხემ მიჰბაძა მის მაგალითს. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში გახშირდა სახალხო თეატრების, დრამატიულ საზოგადოების და სცენის მოყვარეთა წრეების დაარსება. იმდენად განვითარდა ეს მოძრაობა, რომ 1914 წ. გამართულ სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე დაესწრენ წარმომადგენლები თითქმის ყოველი კუთხიდან.

გადაჭარბებული არ იქნება ვსთქვათ, რომ ამ მოძრაობაში ჭიათურას ეკუთვნის პიონერობა და თუ მანამდის მხოლოდ თბილისის დემოკრატიას ჰქონდა სახალხო თეატრი, ჭიათურის მაგალითის შემდეგ იგი დაარსეს ყველგან და დღეს ჩვენ თვალწინ ხდება შესანიშნავი განვითარება ამ საკულტურო საქმისა.

14 წლის განმავლობაში მუშაობს შიათურის სახალ ო თეატრი და დღესაც მეტ ნაწილად ისინივე ხელმძღვანელობენ მას, ვინც ჩაუყარა საფუძველი 1906 წ. ეს ხანგრძლივი დაუღალავი შრომა არც სხვა მხრით გამოდგა უშედეგო. ამ თეატრმა მართლაც აღზარდა ჭიათურის დემოკრატია და ვისაც ახსოვს იმდროინდელი იქაური. საზოგადოება, დღეს ველარ ცნობილობს მას, იმდენად შეგნებული და მომზადებულია იგი.

და ძველი მუშაკები სიამაყით ეუბნებიან უცხო სტუმრებს, როდესაც მიუთითებენ ხალხით გაჭედილ დარბაზზე, სადაც სრული წესიერება და მაყურებელთა შეგნებული ქცევა იქცევს ყველას ყურადღებას:

14 წლის წინად ძნელი იყო ჩვენს თეატრში შემოსვლა წესიერად აღზრდილი ადამიანისათვის, იმდენად შეუგნებელი და მოუმზადებელი იყო მაშინ მასსა. დღეს კი აქ გონიერ, ჭკუა დამჯდარ ხალხს უყურებთ და გაკვირვებთ მათი შეგნებული ქცევა. ეს ხალხი ჩვენ აღვზარდეთ, ჩვენმა შრომამ ნაყოფი გამოიღო და ვამაყოფთ მითი“

ასე ამბობენ ძველი მუშაკები და ჭეშმარიტათ შეუძლიათ იამაყონ, რადგან უანგარო შრომით დათესილი კეთილი თესლი ყოველთვის კარგ ნაყოფს იძლევა.

დღესაც ჭიათურის სახალხო თეატრი ნაყოფიერად მუშაობს. სცენის მოყვარეთა წრე და დრამატიული საზოგადოება ხელიხელ ჩაკიდებული მოღვაწეობენ და ცდილობენ თანდათან გაზარდონ და გაამშვენიერონ ეს საქმე.

დრამატიული საზოგადოების ინიციატივით, ჭიათურის საზოგადო დაწესებულებანი უკვე შეუდგენ დიდი სახალხო სახლის აგებას **გიორგი ზდანოვიჩის სახელზე**, რომლის დამთავრების შემდეგ ჭიათურის სახალხო თეატრი ღირსეულ ტაძარში დაბინავდება, რათა იქ განაგრძოს თავისი სასარგებლო საკულტურო მუშაობა.

**ჭიათურელი მოკეთე**



**ისიდორე სოფრომის-ძე ვარაზაშვილი**

ჭიათურის დრამ. საზ. გამგეობის და გ. ზდანოვიჩის სახელობის სახალხო სახლის საალმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე.

(იხ. „ჭიათურის დრ. საზ-ის ყრილობა“ აქვე 14 გვ)

# სამგლოვიარო ფურცელი

**I რუს-იმერელი** (ვიკტორ იურკევიჩი).

საჩხერეში ივლისის 20 გარდაიცვალა და სამშობლო ლიტერატურას მოაკლდა კიდევ ერთი უკანასკნელთაგანი პატრიოტულ ჰანგების მომღერალი ვიკტორ იურკევიჩი, ფსევდონიმით რუს-იმერელი.

ჩამომავლობით რუსი იყო, სამსახურის გამო მშობლები მოხვდა, ჩვენს სამშობლოში, მან შეირთო თ. წერეთლის ასული, სამუდამოდ საცხოვრებლად დარჩა დ. საჩხერეში, რომელიც გახდა მის მეორე სამშობლო და განსვენებულმა სულით და გულით შეიყვარა.

უწყინარი, მშვიდი ხასიათის, ნამდვილი ჯენტლემენი, გულით და რწმენით ქართველი, ერთ აქტიურ მოღვაწედ ითვლებოდა განსვენებული დ. საჩხერეში და ყოველ კულტურულ საქმეში მხნე მონაწილეობას იღებდა. მისი ლექსები გამოსულა ჩვენს ძველ ჟურნალ-გაზეთებში და იმედია, ეხლა მაინც შეჰკრებენ და გამოსცემენ სხვა მრავალ დავიწყებულ პოეტებთან ერთად, მაგალითად როგორც იყვნენ გ. ვოლსკი, ცახელი და სხ.

არ დაივიწყებს მას მეორე სამშობლო საქართველო.

**II ლეონიდე კნინა** (სურათი იხ. 1 გვ.).

კვირას ივლისის 18 წმ. ნინოს სასაფლაოზე შავ სამარეს მიაბარეს შესანიშნავი პიანისტი ლეონიდე კნინა.

ჩამომავლობით იყო ებრაელი ჩეხეთის დედა-ქალაქ პრაგიდა. დაიბადან 3 დეკემბერს 1842 წ. მუსიკალური განათლება მიიღო პრაგისა და ვენის კონსერვატორიაში.

წარსულ საუკუნის სამოცდა ათ წლებში მოიარა არტისტიული ტურნე ევროპასა და რუსეთში და ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენც გვეწვია. როგორც შესანიშნავმა პიანისტ-ვირტოუზმა თვისი კონცერტებით დიდი ალტაცება გამოიწვია ქ. ვენის მუსიკალურ წრეებში და იმ დღიდან შეიქმნა სახელ-მოხვეჭილი პიანისტი.

ჩვენ დედა ქალაქ თბილისში განსვენებულმა დაარსა მუსიკალური სკოლა, შეადგინა მუსიკის შესასწავლი და სავარჯიშო სახელმძღვანელოები; ითვლებოდა საუკეთესო პედაგოგად ჩვენი აწ განსვენებულ თანამემამულე ალოიზი მიზანდართან ერთად.

რევოლიუციის დასაწყისში, როდესაც რუს-ჯარის კაცთა ბრბოები ჩვენი დედა ქალაქის განადგურებას ლამობდნენ, შემოეფანტა მოსწავლენი, იძულებული იყო დაეკეტა სკოლა, რომ სამშობლოში გამგზავრებულიყო, მაგრამ ვერ აუსრულდა ნატვრა, რადგანაც მიმოსვლა ევროპაში შეწყვეტილ იყო.

შარშან წინ განსვენებულმა სცადა დაეარსებინა სკოლა ქ. ქუთაისში, ვერც იქ წაუვიდა საქმე კარგად...

მოხუცების ჟამს, უთვისტომოთ მიტოვებული, თბილისის კონსერვატორიის დირექტორის ბ. ჩერეპნინის შუამდგომლობით (მთავრობასთან და ქალაქის თავთან) მოთავსებულ იქმნა ზუბალიშვილის სახელობის თავშესარში...

გარდაიცვალა შაბათს 17 ივლისს 1 საათზე, გულის სიგანივრით და ქალაქის თავის მოადგილის განკარგულებით დაკრძალულ იქმნა კვირას, 18 ივლისს...

ისე ჩუმად, უპატრონოდ გაასვენეს... ის, რომელსაც ჰყავდა აუარებელი თაყვანის-მცემელი, მრავალი მოწაფე ამხანაგ-მეგობარი; და ისიც იმ ქალაქში, რომელიც ითვლება,—და სამართლიანადაც,—მუსიკალურ ქალაქად. დაესწრნენ მხოლოდ: პიანისტი ზეილინგერი, ვიოლონისტი ვილშაუ და კიდევ მხოლოდ სამი პირი. მართლაც რომ ამ წუთისოფელში ყოველივე ამაო არს...

საქართველოს ხელოვნების ისტორია არ დაგივიწყებს შენც, უძვირფასესო ლეონიდ, და შენს სახელსაც მოწიწებით მოიხსენებს იმ უცხოელებთან ერთად, რომელნიც საქართველოში მოღვაწეობდნენ...

**მიხეილ ლობჟანიძე.**

# თანაგრძნობა

(სილუეტი)

გზად მივდიოდი... ოზურგეთის მახლობლად ერთი ლამაზი ეზოს წინ კოხტა საჯდომი იყო. საჯდომს საამო ჩრდილი ედგა. დასასვენებლად ჩამოვჯექი.

ეზოში პატარა ცელქი გოგონა დარბოდა... ყვავილებს ეალერსებოდა ..

ლამაზი ბუნება ბუნებასვე ეთამაშებოდა.

— აი სად არის ბედნიერება!.. უკვდავება!.. სიწრფოება!.. უზადოება!..—გავიფიქრე და შემშურდა მისი თამაში... მისი უდარდელობა...

უეცრად ცელქმა შემნიშნა... დამაცქერდა... ჰიშკარი გააღო და ჩემთან მოირბინა... ამათვალ-დამათვალიერა... შემნიშნა—ცალი ფეხი არა მქონდა. გაჰკვირდა... დაიბნა... ყავარჯნებს დააკვირდა... ხელები შეახო...

— ძია, ლად გინდა ეს სესები?..

— ეს შეშები არ არის...

— მას, ლა ალის?..

— ყავარჯნებია...

— ყავალძნები?.. ლად გინდა?..

— ამითი დავდივარ.

ის გაჰკვირდა... ამიწია ჩოხის კალთა, რომელიც მარჯვენა ფეხის ალაგას ცალიერად ჩამოშვებულიყო... ფეხს ძებნა დაუწყო... ვერ იპოვა... ჩაფიქრდა...

— ლა უყავი ელთი ფეხი?..

— წაჰრილი მაქვს...

— წაწლილი?..

— ჰო...

— ლატომ წაიწალი?

— გითხრა, გინდა?...

— მითხალი...

— პური მშიოდა... ფული არა მქონდა... მუქთად კი არავინ მაჭამა... ერთს ვაჭართან მიველ... მოვიჭერი ფეხი, მივეცი და მან პური მომცა.

პატარა გაჰკვირდა.

— ლა უქნა მელე სენს ფეხს?..

— ძაღლს აჭამა.

ის განცვიფრდა... მთელი თავისი უმანკო, წრფელი გულით განცვიფრდა.

მან პაწა, ნაზი ხელებით გაისწორა შუბლზედ ჩამოშლილი აბრეშუმის ხუჭუჭა თმები, კიდევ გამისინჯა ცალიერი ადგილი—სადაც ფეხი უნდა ყოფილიყო... თითქოს...

— მოდი ჩემთან, პაწიავ!..—ვუთხარი მე და ხელები მისკენ წავიღე. მან მკლავები ასწია—მიჩვენა.. ხელში ავიყვანე... მან თავი მკერდზე მომაყრდნო... ის მთლად მომენდო... ის მთლად ფიქრად გადიქცა. ფიქრი იმისი იყო—მე.

სულმა ჩემმა იგრძნო განსვენება... ამება...

მე ხელთ მეპყრა ცოცხალი თანაგრძნობა... და ჩემს მკერდზე ჰსუნთქავდა.

ოო, რა ძვირფასი, რა სანეტარო იყო ეს წუთები!.. მთელი სიცოცხლე რომ იმ ყოფაში, იმ მდგომარეობაში ვყოფილიყავი—მინდოდა.

მან უეცრად შემომხედა და მკითხა:

— სენ დედა გყავს?..

— მყავს...

კვლავ ჩაჰფიქრდა... ცოტა ხნის შემდეგ კიდევ მკითხა:

— კიდევ ლო მოგსივდება, ლას იზამ?..

— მე ახლაც მშიან... ფულიც არა მაქვს... მივდივარ ისევ იმ ვაჭართან, რომ მეორე ფეხიც მივჰყიდო პურზედ.

მე ხელთ შემრჩა ცოცხალი განკვირებითი ნიშანი.

ის სწრაფად ძირს ჩამოვიდა. „ალ წახვიდეო!“ მითხრა და სახლისკენ გაბაჯბაჯდა.

წამის წინად მთელი ეზო თავზედ წამოეცვა და ეხლა კი, ჩემთან ისე გადინჯდა... მე ფიქრებმა გამიტაცეს... ჩემს თავს კითხვა დაუსვი:

— როგორ მოვიქეც, რომ ბავშვთან ასეთი ლაპარაკი გავაბი?

მე ჩემს კითხვაზე პასუხი ვერც კი მომეძებნა, რომ ის კვლავ ჩემს წინ დაიბადა და სიბრალულით ალსავსემ პურის ნაჭერი მომაწოდა.

მე ცრემლები წამსქდა.

ის კოცნით დავაჯილდოვე.

**ცალფეხა გ. ლომთათიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მართვა-გამგეობის მუშაკნი



ეგნატე გაბლიანი

წერა-კითხვის მცოდნე ქართველს, ვფიქრობ, ეგ სახელი გაუგონია. ეგნატე გაბლიანის კალამს ეკუთვნის მრავალი ისტორიული და მეცნიერული ხასიათის წერილი სვანეთის ცხოვრებიდან. სულ უკანასკნელ ხანამდე ის საიმპერატორო-სამეცნიერო აკადემიის ოფიციალურ თანამშრომლად ითვლებოდა, ბევრი საყურადღებო საკითხის გარკვევა-გადაჭრაში მიიღო მონაწილეობა. ამ ჟამად დამზადებული აქვს გამოსაცემად ფრიად სერიოზული შრომა სვანეთის შესახებ, დიდი ენერგიის კაცია და აგერ თხუთმეტი წელია, რაც მოუსვენრად მუშაობს თავის ქვეყნის საკეთილდღეოთ.

ორიოდე ინტელიგენტ სვანში ნიკოლოზის დროს ნახევარზე მეტი ჭეშმარიტი რუსოფილი იყო. მათთან ბრძოლით და ღირსეულ ქართველურ მამულიშვილობით ცნობილია ეგნატე გაბლიანი. დღეს ის თავისუფალ სვანეთის კომისარია. არ არის საჭირო აღვნიშნო, თუ რა დიდი შრომა მიუძღვის ეგნატე გაბლიანს ძველად სვანეთში გზების გაყვანისა, სკოლების გახსნის თუ საერთოდ სვანების გაკეთილშობილების საკითხში. კითხეთ ინგურის ხეობას, ფიჭვ-ნაძვნარით დაფენილ მხარეს, ჯიხვებისა და არჩვების ქვეყანას და ისინი გეტყვიან, თუ ვინ არის ეგნატე გაბლიანი. მე მოგახსენებთ, რომ ის საკმაოდ მძლავრი, პატივსაცემი და თავის ქვეყანაში უეჭველად დიდი გავლენიანი პირია.

მისი კუთხე მოწყვეტილია ჩვენზე, თავის ლვიძლ ძმაზე, მოკლებულია კულტურას, ცენტრს, ცეცხლს დ საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას, სითბოს, სინათლეს. სვანებს, აკლიათ პური, შიშველად არიან ტანზედა და ხმარებას ელიან თავის დედა საქართველოდან. ჩვენს მთავრობას მართებს რეალური დახმარება აღმოუჩინოს მათ და მით გაუადვილოს პატივცემულ ეგნატე გაბლიანს სვანეთში მოღვაწეობა.

როგორც ვიცი სვანებს ზედა კავკასიიდან უპოტინებენ ბინძურ ხელებს, ორიოდე საეჭვო პირი შიგაც რუსოფილობს, ხელს უშლის ეგნატე გაბლიანს, უნდათ, ცეცხლი დაანთონ, მაგრამ ის კიდევ უფრო კარგად ვიცი, რომ საერთოდ მუდამ ფხიზელი და წინდახედული სვაენთი [გველების ანკესზედ არ წამოეგება. მუდამ თავისუფლების მოყვარულ ხალხს გამოცდა დაჭერილი აქვს, ის ყოველთვის დაგვეხმარება ჩვენი საერთო თავისუფლების შენარჩუნება — განმტკიცებაში. საჭიროა მხოლოდ მუშაობა და დახმარება.

სალამი სვანეთის არწივს—ეგნატე გაბლიანს!..
„მეგობარო, წინ, წინ გასწი,
ნუ შედრკება შენი გული!..“

ვარლამ ძიძიგური

# მოწყენილება

ოდეს ფირუზ ცას გაეკვრება ელფერი მწუხრის,
გულშიც იფეთქებს კაეშანი, სევდა, ვაება,
და ასეთ წუთებს მარტოობის ნაღველი მიპყრობს,
სულს დაიმონებს და წამს ხდება მისი ღვთაება.
ან კი ვინ ვპოვო ამის გარედ უმანკო, წრფელი,
ადამიანმა ხომ დაჰკარგა თვით ეს თვისება,
და მისი კვალი ცხოვრებისა რთულ უჯრედებში,
მუხანათობით, ბოროტებით დღით-დღე ივსება,

ი. მეგრელიძე

# სამშობლოსთვის თავდადებული



ი ნკოლოზ მარკ. ივა ნიძე

ცხენოსანი გვარდიელი, სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი. მსახურებდა რუსეთის სხვა და სხვა ფრონტებზე, სადაც გმირობისთვის დაჯილდოვებულ იქმნა წმინდა გიორგის ჯვრით. რა დაიწყო ქართული ჯარის შედგენა, ის მყისვე გამოეშურა საქართველოში და ჩაეწერა მეორე ცხენოსან ქართულ პოლკში, სადაც აწყურთან ოსმალებთან ბრძოლაში იშვიათ გმირობისათვის დაჯილდოებული იქმნა პირველ ხარისხის გიორგის ჯვრით, რომელიც თვით სამხედრო მინისტრმა ჩამოკიდა საკუთარი ხელით.— ამ პოლკის დაშლის ჟამო ის ჩაეწერა სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონში. ღებულებდა მონაწილეობას ამ დივიზიონთან ერთად მრავალ ბრძოლაში და აქაც ისევე ვაჟკაცობის და გმირობის სახელი დაიმსახურა,—შემდეგ თავი დაანება სამხედრო სამსახურს და შევიდა კერძო სამსახურში.—როდესაც საქართველოსთვის დადგა საბედისწერო ჟამი რუსეთ-ოსმალეთ იმპერიალისტთა მოახლოვებისა გამო, ის ისევ აღენთო ბრძოლის ცეცხლით, ჩაეწერა თავის საყვარელ დივიზიაში და ამხანაგებთან ერთად გაეშურა ვერაგი მტრის შესამუსვრელად. თავისუფალი საქართველო არ დაივიწყებს თავის ერთგულ შვილებს და უკვდავი შარავანდელთ შემოსავს მათ გმირულ სახელებს.

გურ. ული გვარდიელი



**დათიკო კერესელიძე**

ცნობილი სამხედრო ექიმი სადარაჯო ათასეულისა დაიკრძალა ივნისის 30 დიდუბის ეკლესიაში.

ნათება და დავასუფთავეთ იმდენად, რომ საზოგადოებას აღარ ეზარებოდა აქ სიარული.

როგორც მოგეხსენებათ, 1918-ში და 1919-ის დასაწყისში სისტემატიური მუშაობა ჩვენს თეატრში არა სწარმოებდა. ამის მიზეზი უმთავრესად იყო ომიანობა და კრიზისი, რომელმაც დააბნია და დაქსაქსა სცენის მოყვარეთა ძალები და ძნელი შეიქნა მათი თავის მოყრა. ამის გამო თუმცა ხანდამოშვებით იმართებოდა თეატრში წარმოდგენები და სხვა და სხვა გასართობები, მაგრამ ესენი ყველა კერძო ინიციატივით ხდებოდა და გამგეობას თავისი ორგანიზაცია ამ საქმისთვის არა ჰქონია.

ჩვენ იმთავითვე შევეცადეთ შეგვევსო ეს ნაკლი და მივიღეთ ამისთვის საჭირო ზომები. წასული წლის მთელი ზაფხული მოვანდომეთ ერთი მხრით ბინის და სახალხო სახლის საქმეს, და მეორე მხრით სცენის მოყვარეთა თავის მოყრას და ჩვენს გარშემო შემოკრებას.

რამდენიმედ დავსძლიეთ გაჭირვებას, მაგრამ სცენის მოყვარე ქალების უყონლობის გამო საქმე მაინც ვერ წავიდა წინ. ამიტომ გამგეობამ გამართა მოლაპარაკება ადგილობრივ ქალთა წრესთან ერთად მუშაობის შესახებ, რომელზედაც მივიღეთ თანხმობა და მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც ქალთა წრემ დაივალა დახმარებოდა თავისი ძალებით სცენის მოყვარეთა წრეს, ხოლო მათ მისცემოდათ წმინდა შემოსავლიდან ერთი მეოთხედი ქალთა წრის გამგეობის სასარგებლოდ. ეს მოხდა ოქტომბრის დამლევს და უკვე ნოემბრის პირველი რიცხვებიდან გაიხსნა სისტემატიური წარმოდგენების მართვა, რომელიც დღემდე მიმდინარეობს.

ამას გარდა, რომ უფრო მჭიდროთ შევეკავშირებია სცენის მოყვარეთა წრე ერთმანეთ შორის და თეატრთან, ჩვენ დაუნიშნეთ ძველ დამსახურებულ მუშაკთ საკუთარი და შედარებით ახალგაზრდა დამსახურებულ სცენის მოყვარეთ ორს ერთად ბენეფისები. თუმცა იმ თავითვე შევეცადეთ მოგვეწვია გამოცდილი ხელმძღვანელი ჩვენი სცენის მოყვარეთა წრისთვის, მაგრამ დიდხანს ვერ ვიშოვნეთ შესაფერი და სასურველი თანამშრომელი და მხოლოდ 1 მაისიდან შევსძელით მოგვეყვანა აქ ამ ზაფხულში სამუშაოდ ბ. ვასო არაბიძე თავის მეუღლით ამირი ჯიბის ქალით.

ამ შვიდი თვის განმავლობაში ჩვენ გავმართეთ 25 წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო 5150 კაცი—ორთა შუა რიცხვით 206 კაცი, რაც იშვიათია ჩვენი საზოგადოების ისტორიაში. თუმცა ფასები ყოველთვის ზომიერი იყო, მაგრამ მაინც შემოსავალი იმდენად ფლობნიერი (?) რომ ხარჯების მეტ ნაწილს თამამად ჰფარავს. იმ დროისათვის, როდესაც შემოსავალი წარმოდგენებიდან და სალამოებიდან უდრის 79 000 მანით ხარჯი არის მხოლოდ 72000 მან. ამ რიგათ გამგეობამ დაჰფარა ხარჯები 18 თვის 7 თვის მუშაობით და ზარალი არ უნახავს. ამ შედეგს ჩვენ მივაღწიეთ სცენის მოყვარეთა ენერგიული და დაუღალავი მუშაობით და ქალთა წრის დახმარებით, რისთვისაც მათ გამგეობა გულწრფელ მადლობას უძღვნის.

გარდა ამისა ჩვენი მუშაობა მით იყო ფრთაშესხმული და გათამამებული, რომ სანაქებო თანაგრძნობით და სიყვარულით ეპყრობოდენ ჩვენი დემოკრატიული ორგანიზაციები—ქალაქის გამგეობა და კოოპერატივები, რომლებმაც უხვი დახმარებით და შემოწირულებით გაამაგრეს ჩვენი საქმე. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, კულტურული დაწესებულებანი დემოკრატიის ღვიძლი შვილია და როგორ შეიძლებოდა, რომ იგი, დემოკრატია—სიყვარულით არ ეპყრობოდეს ისით კულტურულ დაწესებულებას, როგორც არის ჩვენი სახალხო თეატრი, რომელსაც ხელთ უპყრია დემოკრატიის გრძნობის და გონების განათლების ლამპარი.

გამგეობა მოვალედ სთვლის თავის თავს წინადადება მისცეს კრებას ულრმესი მადლობა უძღვნას ამ დაწესებულებებს და სთხოვს მათ შემდეგშიც არ მოაკლონ თვისი დახმარება და მფარველობა ჩვენს საზოგადოებას.

დასასრულ გამგეობა მოახსენებს კრებას, რომ დაწყებული მუშაობის გაგრძელება შესაძლებელია, თუ საზოგადოების თანაგრძნობას და მხურვალე მონაწილეობას იგი მოკლებული არ იქნება.

(ანგარიში დაიბეჭდება შემდეგ ნომერში)

გამოვიდა

# ნოე ჟორდანიას

თხზულებათა პირველი ტომი

**თბილისის ხელის მომწერლებმა** უნდა მიიღონ გამომცემლობის კანტორაში რუსთაველის პრ. № 26. ვისაც შემოტანილი აქვს ბე ყველა თხუთმეტი ტომის 450 მან. თითო ეგზემპლიარზედ, იმათ უნდა წარმოადგინონ ნაღდათ 70 მან.

სხვა ხელის მომწერთა მიერ შემოტანილი ბე დარჩება გამოცემის დასრულებამდის და ამ ჟამად ნაღდათ უნდა შემოიტანონ წიგნის **მთელი ღირებულება 100 მ.**

**პროვინციის ხელის მომწერლებს** ამავე წესით გაეგზავნებათ წიგნი ფასდადებით ფოსტით.

**ქუთაისში კი ხელის მომწერლები** მიიღებენ წიგნს გამომცემლობის სააგენტოში ის დორე კვიცარიძესთან.

ხელის მოწერა გაგრძელდება 15 ივლისამდის.

ნოე ჟორდანიას თხზულებანი II ტ. 110 მან.

რედაქტორი **იოსებ იმედაშვილი**

გამომცემელი **ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა**

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ., № 26.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





შალვა მაღლაკელიძე

ჩვენის რესპუბლიკის სხვა და სხვა თანამდებობაში ნამყოფი, ყოფილი გენერალ-გუბერნატორი ნიჭიერი ადმინისტრატიული მოღვაწე, ერთის წლის წინად პასუხისგებაში იყო მიცემული, რომლის საქმე ამ დღეებში გაირჩა (ორ კვირაზე მეტს ხანს არჩევდენ) და გამართლებულ იქმნა.

## ძველი სურვილი

შენ არ გადიხარ დამონებულ ჩემი ფიქრიდან,
გხედავ და ცეცხლში მიახლდება სურვილი ძველი;
შენ ხარ საშიში უცნაური და მიმზიდველი,
როგორც თბილისი წყნარ ღამეში ვერის ხიდიდან.
მე ვარ დამსხვრეულ სიყვარულის ბნელი საფლავი
და შენს გარეშე წუთისოფელს ვუგზავნი წყევლას,
როგორც რაინდი დაკოდილი და მომაკვდავი
უკანასკნელად თვის წინამძღოლს უთვლის კურთხევას.

ჰაბუკი ჰაბუკიანი



დუშეთის სცენის მოყვარეთა დასი.

დგანან (მარცხნიდან): ს. ნავაძე, ე. ფარესიშვილი, დ. კობიაშვილი, ო. მოზდოკელი, არჩ. სულხანიშვილი, მ. ავალოვი, ლაგაზაშვილი. სხედან: მარ. ალექსიშვილისა, მარ. ქილარჯიშვილი, მიხ. ხერხეულიძე, ნ. მახალდიანისა, ს. ნამორაძე.
დაჩოქილ-წამოწოლილნი: ა. აბაშიძე, გ. ქილარჯიშვილი, ფ. წვერაძისა და ს. ჩოხელი... (ფრონტზე ყოფნის გამო სურათის ვადაღებისას სამწუხაროდ ყველანი არ იყვნენ)



მარიამ შავერზაშვილი

მომღერალი—კოლორატურული სოპრანო, — ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისში მკათათვის 2ჯ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ჩ ვ ე ნ ე ბ ი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 26)

**რეზოს ხმა:** „შეიძლება?"

**სოსო.** მობრძანდი!

**რეზო და ანეტა.**

**რეზო.** კიდევ გამარჯობა.. ოო, კაკ მოჟნა—კაკ ვაში დელა? (ფულს ანიშნებს).

**იაგ.** მაი დელ ხოროშო. (ფულს ანიშნებს) მაგრამ კაკ ვაში დელ? (თავზე ანიშნებს).

**რეზო.** ნიჩაო, ნიჩაო!..

**იაგ.** როდის უნდა დაჭკვიანდე?

**რეზო.** როცა ცოლს შევირთავ! შენ როდის უნდა დაანებო მაჭანკლობას თავი?

**იაგ.** როცა შენ ცოლს შეგრთავ!

**რეზო.** ღმერთმა დამიფაროს შენი გაშუამავლებული ქალი შევირთო!

**ანეტა.** რეზო!

**რეზო.** აჰ, Pardon!

**სოსო.** არაფერია... განაგრძეთ!..

**რიმსიმე** (კარებში).

**რიმ.** იაგორ მიტროფანიჩ, ბარემ მობრძანდი!

**რეზო.** ქ-ნო რიმსიმე, ერთი გვიშველეთ, ღვთის გულისათვის!..

**რიმ.** (შემოდის) რა მოხდა, ქა?

**რეზო.** აგერ სოსოს თავმჯდომარედ ირჩევენ და უარზეა... ურჩიეთ რამე!

**რიმ.** მერე, რათა შვილო? თუ ადგილს გაძლევენ, რათ არ ნებულობ—გენაცვალოს სიდედრი?

**სოსო.** Ты тоже нашелъ кому жаловаться!

**რიმ.** ახლა რუსული რომ არ ვიცით, განა სულ გაუგებარი ვართ! უსაქმო კაცი და მკვდარი ერთია—ნათქვამია... ეგრე არ არი, იაგორ მიტროფანიჩ?

**იაგ.** კაკ მოჟნა?!

**რიმ.** ჯამაგირი რამდენი ექნება, გენაცვალე?

**რეზო.** ასი ათასი!..

**რიმ.**
**იაგ.** (ერთად) უჰ!

**რიმ.** დათანხმდი, გენაცვალე! ამდენი ჯამაგირი გექნება.. მეც რასმე მიყიდი, შენც რიგიან სახლში გადახვალ... აბა შენისთანა განათლებულ კაცსა ამისთანა ქოხმახი ეკადრება?! სობსტვენი კარეტა გეყოლება!..

**რეზო.** ავტომობილი სჯობია, ბ. რიმსიმე!

**რიმ.** თქვენ უკეთ იცით, გენაცვალე!.. ავტონობილი იყოს, რა!

**ანეტა.** Зачѣмъ ты ее дурачишь?

**რიმ.** ქა, ხომ არ მატყუილებთ?

**რეზო.** შე დალოცვილო, ქართულ დაწესებულებაში ჯამაგირი და ისიც ასი ათასი—ვის გაუგონია?

**რიმ.** (გაბრაზებული რეზოს თავში ჩაჰკრავს) იი, მეხი კი დაგთხლიშე მაგ უტვინო თავში!.. შენი მასხარად ასაგდები შენს სახლში გეგდება, შე ბრიყვო, შენა!.. წამო, იაგორ მიტროფანიჩ!.. ამ მასხარებში ყოფნა რა ჩვენი საკადრისია! (გადის).

**იაგ.** სობსტვენო ღოვორია...

**რეზო.** კაკ მოჟნა!.. (ძალად გააგდებს) წადი, გიცდიან!

**სოსო.** აბა, რად გაალანძღვინე თავი?

**ანეტა.** რა მოხდა აქა? მართალია, რასაც რეზო ამბობს?

**სოსო.** მართალია!

**ანეტა.** რა მიზეზიაო?

**სოსო.** მე ჩემი მოსაზრება მაქვს.

**ანეტა.** საბუთი?

**სოსო.** მაქვს!

**რეზო.** მაშ მე წავალ!.. შენ იცი და მაგან!

**ანეტა.** ამას მე დავითანხმებ... ოქვენ თქვენი საქმე განაგრძეთ!

**რეზო.** კეთილი! (გადის).

**სოსო.** ანეტა, არა-მეთქი!

**ანეტა.** მიზეზი მაინც გამაგებინე!

**სოსო.** ასეთი მაღალი მოვალეობისათვის ჯერ არა ვარ მომზადებული... ვაი რომ... საზოგადოება არც-კი მიცნობს...

**ანეტა.** ფრთები არ გაგმაგრებია?

**სოსო.** თუ შენ გვერდით მეყოლები—ფრთები მაგარი მექნება, მაგრამ...

**ანეტა.** არავითარი—„მაგრამ"... თუ გასახელებთ—სჩანს იმედიც გვაქვს შენი...

**სოსო.** რომ ვერ შევძლო?

**ანეტა.** დაგეხმარებით!..

**სოსო.** მუდამ ხომ კისერზე არ გეყოლები ჩამოკიდული?

**ანეტა.** სანამ ფრთებს მოიმაგრებდე...

**სოსო.** მაშ მირჩევ?

**ანეტა.** გავალებ!

**სოსო.** შენ უარს ვერაფერში გეტყვი!

**ანეტა.** ჰო და ეგრე!.. მართლა—უნდა გაგლანძღო!

**სოსო.** რათა?

**ანეტა.** გუშინ ძალიან თავისუფლად იქცეოდი.

**სოსო.** მაპატიე, ჩემო კარგო.., ხომ იცი, როცა შენთანა ვარ, ყველაფერი მავიწყდება... ისეთ გუნებაზე ვდგები ხოლმე, ისეთ, რომ.. მინდა ვილაპარაკო, ვიმღერო, ვწერო, ვწერო დაუსრულებლად... რომ იცოდე, მაშინ რა ფართე ჰორიზონტი მეშლება წინ... რა იდეები არ მომდის თავში!.. როგორის ცეცხლით ვენთები!..

**ანეტა.** ეს ცეცხლი იშვიათად სჩანს შენს ნაწერებში... უფრო-კი სევდა გამოკრთის.. რა გემართება?

**სოსო.** რა უნდა მემართებოდეს?.. მშვენივრადა ვარ!.. საჭმელი მაქვს, სასმელი, ბინა, დილით ჩაი, საღამოთი—ვახშამი, ტანთ ვიცვამ...

**ანეტა.** ოხუნჯობ?

**სოსო.** არ გეხუმრები! ჩემს სიმდიდრეს დღე და დღე ემატება—ფულს სარგებელი მოაქვს... ყოველ დღე ახალ-ახალი კომბინაციები... აი, იქ, ეხლაც ამაზეა ლაპარაკი... უმთავრესი ბედნიერება-კი ის არის, რომ ცოლი და სიდედრი თავს მევლებიან და ცოლის ძმა მუდამ დღე ჩემი სადღეგრძელოთი ითვრება... თუ გახსოვს, შენ მაშინ მართალი იყავი... მაგრამ მეგონა შესაძლებელი იქნებოდა საქმის გამოსწორება. რამდენი ვეცადე, რა არ ჩავიდინე,—ცოტა განვითარება მიმეცა მისთვის... მიმეცა ის მინიმუმი მაინც, როცა შესაძლებელი იქნებოდა მასთან ამხანაგობა, სულით მეგობრობა... არ იქნა... ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ბოლოს მეც თავი მივანებე... ვსწავლობდი, ისე გატაცებული ვიყავი მეცნიერებით, არც ვაქცევდი ყურადღებას. მაგრამ ეხლა, როცა ჩემს

ცხოვრებას ჩავუკვირდი—რა დავინახე?.. წვრილმანობა, მდაბიური მისწრაფებანი, ჭორი, ჭუჭყი!.. შიშმა ამიტანა, ანეტა!.. საშინელმა შიშმა!.. ეს რა ვქენ, რა ჩავიდინე?!

**ანეტა.** ეხლა სინანული გვიანღაა!

**სოსო.** ღმერთო ჩემო, ნუ თუ ეს ისეთი დანაშაულობაა, რომლის გამოსყიდვა არაფრით შეიძლება?! ვიხრჩვები ამ ატმოსფერაში... სული მეხუთება... აი, როცა შენთანა ვარ... რაღაც გამოურკვეველსა ვგრძნობ... თითქოს ახლად დივიბადე... აზროვნება სულ სხვანაირად მუშაობს... წერაც მინდა... მაშინ ჩემი გრძნობანი ისე ვპოულობ ხოლმე... როცა შენს ახლოს ვარ აი სწორედ მაშინ არის ის ცეცხლი, რომელიც ჩემს ნაწერებში შეგიმჩნევია.

**ანეტა.** ეგრე გეჩვენება მხოლოდ!

**სოსო.** არა, ანეტა! ამაში დავრწმუნდი!.. გახსოვს, რუსეთიდან რომ ჩამოვედი და გნახე, მაშინ ერთი იდეა დამებადა... დავიწყე წერა. მერე შენ სადღაც მასწავლებლად გადაგიყვანეს... მეც მივაგდე ჩემი სამუშაო... ეხლა-კი ხელახლა დავიწყე, და იცი, რა სისწრაფით მიდის? გაგიკვირდება... გინდა ზოგიერთ ადგილებს წაგიკითხავ?

**ანეტა.** არა მჯერა!

**სოსო.** (თანდათან ეგრძნება) ახ, ანეტა, შენ რომ ჩემთან იყო, იცი რას შევქმნიდი? ასე მგონია, ისეთ რასმე დავწერდი, რაც ჯერ არავის დაეწეროს... ვიყო შენს ახლოს... შენს თვალებში ამოვიკითხო ჩემს კითხვებზე პასუხი!.. (მის ახლოს დაიჩოქებს) აი, ასე... შენთან... შენს ახლოს!..

**ანეტა.** სოსო, გონს მოდი! რახ სჩადი? (ადგება).

**სოსო.** არა, გევედრები, ცუდს ნუ იფიქრებ ჩემზე... მეტს არაფერს ვინატრი—მხოლოდ შენს ახლოს!.. გამამხნეო, მითხრა სიტყვა ტკბილი, გონიერი... ზეამწიო დაცემული... ვიღუპები ანეტა, ვიღუპები!.. (ტირილი აუვარდება).

**ანეტა.** სოსო, გონება მოიკრიბე!.. აბა რასა ჰგავს ესა? (წყალს ასმევს).

**სოსო.** (პაუზა) დავიღალე!.. მუდამ დღე ჩხუბი, დავიდარაბა!.. ჯერ მუშაობა არც-კი დამიწყვია—დავიღალე!.. მარტოობამ ჩაჰკლა ჩემში ყოველი ენერგია!..

**ანეტა.** ასეთი უიმედობა არ შეგშვენის!..

**სოსო.** მეგობარი არა მყავს, ანეტა, მეგობარი!..

**ანეტა.** შრომა უნდა იყოს შენი მეგობარი.

**სოსო.** ოოჰ, მე რომ შენთვის დამეჯერებინა!..

**ანეტა.** ეხლა გვიანღაა!..

**სოსო.** მაშ დეე, მოხდეს ყველაფერი ისე, როგორც...

**ანეტა.** რას აპირებ?..

**სოსო.** ყველაფერს თავს მივანებებ და წავალ ისევ რუსეთში...

**ანეტა.** მერე საზოგადოებას რას ეუბნები?

**სოსო.** საზოგადოებას ჩემს ნაცვლად ზნეობრივი კანონები შერჩება.

**ანეტა.** არა, შენ აქ დარჩები და იმუშავებ.

**სოსო.** აღარაფრის გაკეთება არ შემიძლია.

**ანეტა.** არც ჩემთან ერთად?

**სოსო.** ანეტა, მე არა ვხუმრობ!

**ანეტა.** არც მე გეხუმრები!

**სოსო.** (პაუზა) ანეტა, ნუ თუ?!..

**ანეტა.** დიახ... მე აქა ვრჩები და... ხშირად ერთად ვიქნებით!

**სოსო.** ღმერთო ჩემო!.. განა ეს შესაძლებელია?

**ანეტა.** ესე იგი—რა?

**სოსო.** არა, ანეტა!.. ღმერთმა დამიფაროს ცუდის ფიქრისაგან... მე ვიცი შენი შეხედულება ამ საგანზე... არც მე მოგაყენებ ამ შეურაცყოფას... მაგრამ იყო ჩემს ახლოს... გხედავდე ყოველ დღე!.. გავიგონო შენი რჩევა--დარიგება, შენი გამამხნევებელი სიტყვა!.. იცი, ეხლა რას ვიზამ?! ჩავუჯდები ჩემს რომანს... თავმჯდომარეობაზე თანახმა ვარ!.. ცეცხლი, ცეცხლი!.. ეხლა ნახე რამდენი ცეცხლი და გრძნობანი დავაფრქვიო ჩემს ნაწერებში... ეხლა ჩემს „ობოლ სულს“ დავამთავრებ!.. იცი, მე და შენ დავწეროთ რამე... ორივემ ერთად!.. და ასე დავაწეროთ—ანეტა და სოსო! ღმერთო!.. გმადლობ ჩემო ძეირფასო!.. (ხელზე ჰკოცნის).

ტასო (დაინახავს).

**ტასო.** ოჰო!.. ეს კაი ამბავია!

**სოსო.** ტასო, იცი, ანეტამ დახმარება აღმითქვა ჩემს მუშაობაში... ხშირად ივლის ხოლმე ჩვენსა... შენც დაუმეგობრდები განა?

**ტასო.** მასულელებ რაღა? თვალებსა მთხრით!.. განა?

**სოსო.** არ მესმის—რას ამბობ?

**ტასო.** მე-კი ძალიან კარგად მესმის!.. გინდა შენს საყვარელს დავუმეგობრდე?

**სოსო.** (დაუყვირებს და მუშტით მიიწევს) ტასო!

**ტასო.** აჰა, მცემე!.. მეტი აღარაფერი დაგრჩენია! (გადის).

**სოსო.** ( პაუზა მშვიდდება) მაპატიე, ანეტა!..

**ანეტა.** არაფერია!.. მისი სიტყვები მხოლოდ მაცინებს...

**სოსო.** ეხლა როგორ ღა მოხვალ ჩემთან?

**ანეტა.** პირიქით, ეხლა უფრო ხშირად ვივლი!

**სოსო.** არა, ანეტა... ნუღარა!.. ამგვარ შეურაცყოფისაგან მე ველარ დაგიფარავ...

**ანეტა.** არა ღირს!.. დაივიწყე!

**რ ე ზ ო.**

**რეზო.** ანეტა, შენ კიდევ აქა ხარ?

**ანეტა.** როგორცა მხედავ!

**სოსო.** რეზო, შენ დარჩი ანეტასთან... მე—ეხლავე!

**ანეტა.** სოსო, გთხოვ!

**სოსო.** არა... ცუდს არაფერს... სიტყვას გაძლევ!.. (შედის ოთახში).

**რეზო.** მგონი ოჯახურ სცენას წავაწყდი! რა მოხდა?

**ანეტა.** (გულზე მიეყრდნოპა და ტირის) იტანჯება, რეზო, იტანჯება!..

**რეზო.** ვინა? სოსო?!..

**ანეტა.** ჩაუჭერიათ ხელში ამ მხეცებს და ახრჩობენ!..

**რეზო.** მერე ტირილით რას უშველი, ჩემო კარგო? უნდა სხვა საშუალება გამოვძებნოთ მის საშველად.

**ანეტა.** საშინელ სასოწარკვეთილებაშია... მეშინია, თავი არ მოიკლას.

**რეზო.** Дзa!.. (პაუზა) უნდა როგორმე განვაშოროთ ამ ოჯახს...

**ანეტა.** არა შვრება!.. მართლაც უხერხულია!.. აბა იფიქრე?

**რეზო.** მსხვერპლად ხომ არ უნდა შეეწიროს ამათ მაგისათვის?!

**ანეტა.** ხომ იცი, რა თავმოყვარეა!!.. არ იზამს...

**რეზო.** იქნებ ჩვენთან ერთად წამოვიდეს საზღვარ გარედ?

**ანეტა.** ოჰ, არა, არა!.. ღვთის გულისათვის—ეგ არა!..

**რეზო.** (თვალებში მისჩერებია) ჰმ... მივხვდი!.. მაშ კიდევ ღვივის?..

**ანეტა.** (დარცხვენილი თვალებს მოარიდებს).

**რეზო.** მაშ რა ვქნათ? რითი ვუშველოთ?

**ანეტა.** ერთად ერთი საშუალებაა—ჩვენი წასვლა გადავდოთ.

**რეზო.** როდემდის?

**ანეტა.** სანამ დამშვიდდებოდეს, მოლონიერდებოდეს...

**რეზო.** მერე უშველი რასმეს?

**ანეტა.** დარწმუნებული ვარ!.. ჩემთან უფრო დამშვიდებული მუშაობს...

**რეზო** დიდხანს რომ გასტანოს?

**ანეტა.** თუნდ ერთი წელიწადი!

**რეზო.** ამ ერთ წელიწადში რომ...

**ანეტა.** ხომ არ ეჭვიანობ?

**რეზო.** ანეტა!..

**ანეტა.** მაშ მომენდე!.. შენი მოვალეობაა უშველო მეგობარს...

**რეზო.** მის შველაში მე რომ დაგკარგო?

**ანეტა.** პირიქით—მეტს შეიძენ!..

**რეზო.** შენი ნება იყოს.

**ანეტა.** ერთის პირობით—ჩვენს გადაწყვეტილებაზე კრინტი არ დასძრა.

**რეზო.** გემორჩილები!

**სოსოს** ხმა:

**სოსო.** აკი გითხარით—ამ საქმეში არ გავერევი—მეთქი!.. **თავი** დამანებეთ!.. (შემოვარდება) მაპატიეთ, მეგობრებო!.. ეხლა აქ დიდი ალიაქოთი ატყდება! წადით!.. არ მინდა თქვენც დაესწროთ!

**ანეტა.** ჰო, მაგრამ...

**სოსო.** გთხოვ—წადით!

**რეზო.** მე შენთან საქმეზე...

**სოსო.** მერე! მერე! (თითქმის ძალათ გაიყვანს. კულისებში ხმა-მაღალი ლაპარაკი).

**გიგო, რიმსიმე, ტასო, იაგორა.**

**გიგო.** ეჰ, ხელი აიღე, მამა გიცხონდება!.. შენი ქმარი!..

**ტასო.** შენმა სიცოცხლემ, შენ თუ გგავს ჭკუით!

**გიგო.** აი, მაგის ჭკვას რა ვუთხრა! ჭკვიანი, განათლებული სიძე შინ მეჯდეს და ჩემი ნეპრემენი საქმე კაკ მოჟიას მივანდო?! ეგ არის ჭკვა?

**რიმ.** ჰო და მართალს ამბობს... საქმეს ეგ უფრო კარგად წაიყვანდა...

**ტასო.** არ უნდა თქვენი „კლიაუზნი" საქმე!.. რას ჩააცივდით?

**გიგო.** მაშ ნურც შენ გინდა წილი! არ მოგცემ!

**ტასო.** მე თითონ ძალით ავიღებ...

**გიგო.** ჩემს ფეხებს აიღებ!..

**რიმ.** შვილო, იქნება კიდევ იფიქრო!.. დედაშვილობამ ნეპრემენი საქმეა...

**სოსო.** (გაბრაზებული მაგიდას ხელს დაჰკრავს) ოოჰ!

**ტასო** კარგია, გული ნუ გაუწყალეთ, ქა!

**გიგო.** გაუშვი ერთი! ეგ სიკეთეს იზამს? იაგორ მიტროფანიჩ, წავიდეთ! იიჰ, იმ დეპლომს რა ვუთხრა!

**რიმ.** აბა შენ იცი და შენმა გამოცდილებამ... ხომ იცი, ათის თავი შენია... რასაც მეტს აიღებ—შენთვის უკეთესია.

**იაგ.** საცდელს არ დავაკლებ... მარა ჯერჯერობით ნუ გაახმიანებთ..

**რიმ.** ხმასაც არ ამოვიღებ!.. (გადიან).

**სოსო.** (რამდენჯერმე ოთახში გაივლის, მერე მაგიდას მიუჯდება).

**რიმსიმე და ტასო.**

**რიმ.** იმ გიჟს რომ პირში ეცემი ხოლმე, არ იცი, ცუდს რასმეს გეტყვის?

**ტასო** (სოსოს შეხედავს) სსუ!.. ჩუმათ!.. მუშაობს!.. (რიმსიმე სამზარეულოში გადის. ტასო დიდხანს მისჩერებია სოსოს. მერე ახლოს მივა) სოსო!

**სოსო.** რა გინდა?

**ტასო.** მითხარი... გამაგებინე—მე შენი რა ვარ?

**სოსო.** მოახლე!

**ტასო.** არ გეხუმრები.

**სოსო.** კანონიერი ცოლი.

**ტასო** თუ ცოლი ვარ, რათ მიბრმავებ თვალებს?

**სოსო.** რითი?

**ტასო.** რას ჩადიოდი აქ ანეტასთან?

**სოსო.** (წამოვარდება) ხმა!! ანეტაზე ერთი სიტყვა არ დასძრა, თორემ დღესვე ავიკრავ ბარგს და მოგშორდები ... ყველაფერს გარყვნილების თვალით უნდა დახედოთ!.. ვერ წარმოგიდგენიათ წმინდა, სპეტაკი მეგობრობა!..

**ტასო.** (მოლბა) ჰო, კარგი, ნუ აღელდები!.. მე მხოლოდ!..

**სოსო** ხელზე ვაკოცე მეგობარს, ამხანაგს—შენ უკვე ლოგინათ მოგეჩვენა... შეურაცყოფა მიაყენე პატიოსან ქალს .. არც კი გრცხვენია კარს უკან დგომა და ყურის გდება.

**ტასო.** არა, სოსო, შენ არ მომიკვდე!.. დედამ გამომგზავნა შენ დასაძახებლად და უცბად კი წავაწყდი.

**სოსო.** მერე რა ნახე აქ ცუდი?..

**ტასო.** ჰო, კარგი ეხლა... შევცდი მაპატიე...

**სოსო.** მე რომ გაპატიო, იმ ქალს რას ეუბნები?

**ტასო.** იმასთან შენ მომხადე ბოდიში... ხომ შემირიგდები?

**სოსო.** (უნდა თავიდან მოიშოროს) ჰო, კარგი!..

**ტასო.** ეგრე არა!..

**სოსო.** მაშ რა გნებავს?

**ტასო.** მაკოცე!

**სოსო.** (ჰკოცნის) იცოდე, ანეტაზე ერთი სიტყვა!.. ეს იყოს უკანასკნელი!.. თუ არ გინდა აქედან გადავიკარგო!..

**ტასო.** (თავზე ხელს უსობს) კარგი, კარგი .. კრინტსაც არ დავძრავ... აღარ გაგაჯავრებ... გაგიფრთხილდები... როცა მუშაობ—ხმასაც არ ამოვიღებ. ფეხის ცერებზე ვივლი... ოღონ შენ ნუ შემიძულებ. მე რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, რომ არ შემიძლია ამხანაგობა, მეგობრობა გაგიწიო... განა არ ვიცი, რომ ანეტა შენთვის უფრო შესაფერია?! რა ჩემი ბრალია, რომ ასე ალმზარდეს?!.. უჰ, ჩემს მშობლებს რა ვუთხრა?!

**სოსო** აი, შენს გულის წყრომას გამოთქვამ და ისეთ ჰუჰყიან საქმეში კი ერევი!..

**ტასო.** იცი, სოსო, ის ჩვენია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სოსო**. მე გეუბნები—ჭუჭყია-მეთქი ..

**ტასო**. ჰო, კარგი… მაშ აღარ გავერევი…

**სოსო**. როცა ასეთი სისაძაგლე განიზრახოთ, ჯერ მე მკითხე!..

**ტასო**. კვლავ ეგრე ვიზამ… მუშაობას იწყებ? მაშ კარგი—აღარ დაგიშლი!.. წავალ, დედას გავახარებ, რომ აღარ მიჯავრდები და სამზარეულოში ვუშველი, რომ შენი საყვარელი სადილი მოგიმზადოს… (თავზე ჰკოცნის და გადის სამზარეულოში).

**სოსო**. (მუშაობას იწყებს. კითხულობს)… „ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებაც ტრაგედიაა… ტრაგედია უვიცობისა, გონება დახშვისა… ადამიანი ვერ ამჩნევს თავის ობლობას, ვერა გრძნობს, იმიტომ, რომ მეტად ვიწროა გულის ფარგალი, სულის საზღვარი… მისი ოცნება ყოველდღიურ ერთფეროვან ცხოვრებას ვერ გასცილებია… ამ ტრაგედიას მგოსნის თვალი უფრო ნათლად ხედავს და იტანჯება“…

**რ ი მ ს ი მ ე.**

**რიმ**. (კასრულით და კოვზით) დედაშვილობამ ისეთი კომშით ხორცი გაგიკეთე, რომ თითებს ჩაიკვნეტავ… (ცხვირთან მიუტანს) აბა, გასინჯე!

**სოსო**. (გაბრაზებული რვეულს გადააგდებს) აბა… დედა… რა დროს ეგ არის?!..

**რიმ**. ერთი ნახე, გასინჯე… იქნება რამე აკლია, ქა!..

**სოსო**. ჰო, კარგია… მშვენიერია!.. ოღონ დამაცადეთ!

**რიმ**. ჩემ თვალებს!.. არც კი შეუხედნია და ამბობს კარგიაო! (გადის).

**სოსო**. (წერას განაგრძნობს) …„ერთის დაკვრით… გაშუქება ამ სიბნელისა… გარდაქმნა, გადაყალიბება… არსებული ბურჟუაზიული ოჯახების რკალი… დაინგრეოდა… არ განიცდიდა ობლობას“…

**ტ ა ს ო.**

**ტასო**. სოსო, ჯერ ისადილებ, თუ დაგიცადოთ?

**სოსო**. (კალამს ხელიდან გააგდებს) უჰ, ღმერთო დიდებულო!.. აბა, რა დროს ეგ არის?..

**ტასო**. ჰო, კარგი!.. გკითხე—სხვა ხომ არაფერია?!

**სოსო**. (თავში ხელს იტაცებს).

**ტასო**. (კარებში გასძახებს) დედა, ჯერ არ უნდა… დავიცადოთ!

**რიმ**. (შემოდის) მაგას თუ ძალად არ აჭამე, თითონ ხომ ვერ მოიფიქრებს… (ჯდება სავარძელში) დილით ჩაიზე არასა სჭამს… არ „ზაკუსკობს“…

**ტასო**. (ხელსაქმეს აიღებს) კარგი, ნელა ილაპარაკე… მუშაობს. წამო ჩვენს ოთახში წავიდეთ!

**რიმ**. უიმე, არ შემიძლია! სული მეხუთება იმ პატარა ოთახში… აბა, მე რას დავუშლი? ჩემთვის ვლაპარაკობ.

**ტასო**. მაშ ჩუმად ილაპარაკე!

**რიმ**. კარგი, აჰა, ჩუმათა ვარ!.. (პაუზა) ღორმა სთქვა, რაც გოჭები გამიჩნდა—წმინდა წყალი არ დამილევიაო, (პაუზა) იი, ნეტავი თქვენ იქნებოდეთ კარგად, შვილო, და მე თქვენი ჭირი წამიღია!.. (პაუზა) იი ხორცი კი არ ჩაიხარშოს და!.. (პაუზა) ჰმ, ი სია ფეფენას ჯიბრზე ნეტა ეგ საქმე-კი მაიგოს იაგორამ და ჩემ სისხო სანთელს დავუნთებ ღვთისმშობელსა… (პაუზა დაამთქნარებს) უჰ, რა სკუჩნათა ვარ, ქა! ადე, ერთი ლოტო მაინც მოიტანე—ვითამაშოთ!

**ტასო**. რა დროს ლოტოა, კაცი მუშაობს!

**რიმ**. არც-კი გვამჩნევს თუ აქა ვართ… მოიტა ერთი რაზვლეჩენია ვუყო ჩემს გუნებას!.. (ჩაიმღერებს) „ქალო, ქალო, თეთრო ქალო, კეკელჯან“!..

**ტასო**. თუ გაჯავრდეს—ჩემი ბრალი არ იყოს (გადის).

**რიმ**. რათ უნდა გაჯავრდეს, ქა?.. რას ვაშავებთ?!. „შენც ლამაზი, მეც ლამაზი, კეკელჯან“!.. ღმერთო, წმინდა გიორგის ძალო და მადლო, ჩემი შვილები მიცოცხლე და ბედნიერად მიმყოფე და მე… ეჰ, ყველაფერი ღვთის ნებაა, ვენაცვალე იმას… „გაღმა გავალ გამოვიტან ქოშებსა“…

**ტ ა ს ო.**

**რიმ**. მოიტა ერთი კაი კარტი ამომარჩევინე… არა ეს არ მინდა… დევენოსტო მოიტა… თითო კარტი?

**ტასო**. მაშ?

**რიმ**. მოდი—ორი იყოს!

**ტასო**. იყოს!

**რიმ** მოდი სამი იყოს.

**ტასო**. იყოს.

**რიმ**. წინ როცა ბევრი კარტი გიწყვია გული ალხეინად გაქვს!… ასე გგონია მოგებული ფულიც პორტმანში გიწყვიაო!.. თითო აბაზი?

**ტასო**. რა ამბავიაო? შაური არ გეყოფა?

**რიმ**. მეყოფა რა—ძალათ ხომ არ გართმევ? ჩემს ფულს არიოლი არა აქვს? წავაგებ - მოგცემ, მოვიგებ და გამოგართმევ! აქ მოიტა მეშოკი!

**ტასო**. ნომრები მე უნდა დავიძახო… შენ რუსული არ იცი…

**რიმ**. ჰო. კარგი—შენ დაიძახე .. დამითმია… მეორედ ჩემი ოჩერედია!.. (იწყებენ თამაშს. ტასო ნომრებს იძახის პირველად დაბალი ხმით, მერე თანდათან ხმას უმაღლებს და ბოლოს ჩვეულებრივზე გადადის. სოსო იტანჯება, მაგრამ ითმენს).

**რიმ**. დაიცა, დაიცა, მგონი დავოლნა ვიყავი! 50 არის?

**ტასო**. არა!

**რიმ**. ერთი კარგად ნახე!..

**ტასო**. არა მეთქი—ვაა!.. (განაგრძობს. პაუზა) პედესიატ…

**რიმ**. დავოლნა! დავოლნა!..

**ტასო**. პიატ!.. (იცინის).

**რიმ**. რას მიჰქარავ?

**ტასო**. დედა არ მომიკვდება! აი, ნახე!

**რიმ**. (დახედავს) აღარ მინდა! (კარტებს გადაჰყრის) რას მატყუილებ? შენი ბავშვი ვარ?

**ტასო**. მაშ ფული ჩემია! ორი კვატერნო მყავდა!

**რიმ**. (ფულს ხელს დასტაცებს) ყელზე არ დაგადგეს!.. მე კიდევ ოთხი კვატერნო მყავდა!..

**ტასო**. ჩემს აბაზს რაღას მერჩი-ქა?!

**რიმ**. აღარც იმას მოგცემ!.. შენ მაშენიკობ! ვინ იცის კარტში მიცქეროდი და ჩემ ნომრებს არც—კი იძახდი!

**ტასო**. როგორ თუ არ მომცემ?.. მაშ წაგლეჯაზეა? ეს უსინდისობაა!

**რიმ**. როგორ თუ უსინდისობა?! მე აშარო, შენა!.. განა მშობელ დედას ეგრე ეტყვიან?

**ტასო**. კარგი დედა ეგრე არ მოიქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**რიმ.** ხმა ჩაიწყვიტე შე გველის წიწილავ, თორემ აქვე გაგაქრობ!.. (ჩხუბობენ. სოსო აქამდის ხმა ამოულებლივ იტანჯებოდა.)

**სოსო.** (დაჭრილი პირუტყვივით დაიღრიალებს) ააჰ! (თავში ხელს იტაცებს და გარედ გავარდება).

**ტასო.** (შეშინებული დაიკივლებს და გული წაუვარიმსიმეც კივილით მას მივარდება).

ფ ა რ დ ა

ვ. შალიკაშვილი

(დასასრული შემდეგ ნომერში.)

# ჭიათურის დრამატიული საზ-ის ქრი-ლობა

ო ქ მ ი

ჭიათურის დრამატ. საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიურ კრების 1920 წ. 11 ივლისს.

კრება შესდგა ივლისის 11. კრების გახსნის წინ გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ის. ვარაზაშვილმა მოკლე შინარსიანი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რითაც გააშუქა დიადი მნიშვნელობა კულტურულ მუშაობისა ჩვენი ქვეყნისთვის და აგრეთვე სიხარულით მიესალმა ახლათ შემოერთებულ ბათომის ოლქს დედა საქართველოსთან, რაც უმშვენიერესი გვირგვინია მშობელი ერის იმ გამარჯვებათა საერთო რგოლში, რომელიც წილად ხვდა მას უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში. დამსწრე საზოგადოება ალტაცებით ესალმება გაერთიანებულ საქართველოს და მხურვალე ტაშით აჯილდოებს ორატორს.

კრების პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ თავმჯდომარეთ—ბ. ევ. დ. თოდუა, მდივნათ შ. ვაშაძე.—

დღის წესრიგი შემდეგი იყო:

1. მოხსენება გამგეობისა და ანგარიშები; 2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3. სახალხო სახლიხ აშენება; 4. არსებულ თეატრის გაფართოება და შენობის დაქირავების პირობები, მისი გადაცემა ქალ. გამგეობას 5. ნუცა ჩხეიძის იუბილე; 6. სახალხო კულტურის საზოგადოება 7. მიმდინარე კითხვები; 8. არჩევნები.

1. გამგეობის წარსული წლის მოქმედების შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ბ. ის. ვარაზაშვილი. ის აღნიშნავს ყოველივე დაბრკოლებას რაც წინ ელობებოდა გამგეობას, და ვრცლათ აშუქებს გამგეობის სრულ მოქმედებას.

ომის მიერ გამოწვეულ არა ნორმალურ პირობების გამო, ჭიათურის თეატრის კერა თითქმის მთლიანათ მინელდა. ის დრამატიული წრე, რომლის დაუღალავი შრომით და ენერგიით ღვიოდა ჩვენი სცენა, დაქსასულ-დაშლილათ ირიცხებოდა. გამგეობას მთელი ენერგია დაუხარჯავს ამ წრის აღსადგენათ, რათა მათი საშუალებით სისტემატიური წარმოდგენები ემართათ, რითაც მიზნისთვის მიუხწევიათ. უკანასკნელი შვიდი თვის გამომავლობაში წრის დაუღალავი შრომის გამო შესაძლებელი გამხდარა 25 წარმოდგვნა გამართულიყო, რომელშიაც შედის, როგორც მორიგი წარმოდგენები, ისე საქველმოქმედო მიზნით მოწყობილი; მთელ გამართულ წარმოდგენებს დასწრებია 5. 150 მსმენელი, საშუალო რიცხვით თითოულ წარმოდგენაზე 200 მსმენელი, რაც თეატრალურ დიდ მუშაობის გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს ჩვენ პატარა სცენაზე.

ანგარიშების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ბ. ივ. თევზაძე, რითაც ირკვევა, რომ საერთო ბრუნვა შემოსავალ-გასავლისა წარსულ წელს უდრიდა 11 6. 782-23 კაპ. გამგეობის მოხსენების მოსმენის შემდეგ კრება სურვილს გამოსთქვამს მოსმენილ იქმნეს სარევიზიო კომისიის მოხსენებაც.

2. სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ბ. ის. ხარატიშვილი. ის ადასტურებს რა მთლიანათ გამგეობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზოგადოების ქონება თეატრის გარდერობი და ყოველივე წვრილმალი საკმაო მზრუნველობა-პატრონობით არის დაცულ-შენახული, რაც გამგეობის უანგარო შრომას და მათ მოვალეობის კეთილსინდისიერ შესრულებას უნდა მიეწეროს, გამგეობის კასის წიგნიც სავსებით წესიერათ არის ნაწარმოები თანახმად ბუღალტერიისა და არავითარ შეცდომას ადგილი არ ქონებია.

კრება თითქმის უკამათოთ ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, მათი უანგარო მუშაობისთვის მადლობას უცხადებს როგორც გამგეობას აგრეთვე სცენის მოყვარეთა წრეს, ჭიათურის ქალაქის გამგეობას კოპერატივთა კავშირებს და ყველა იმ პირთ თუ ორგანიზაციებს, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს თეატრს.

3 სახალხო სახლის აშენების შესახებ ბ. ის. ვარაზაშვილი კრებას აცნობს, რომ უკვე შემდგარია საზოგადოების მიერ საამშენებლო კომიტეტი გ. ზდანოვიჩის სახელობის სახალხო სახლისა და ადგილიც ამორჩეულია. საამშენებლო კომიტეტში გამგეობასაც ყავს თავის წარმომადგენელი და მხურვალე მონაწილეობას ღებულობს. კრება იწონებს რა ამ ფრიად სასურველ საქმეში გამგეობის მუშაობას ავალებს ახალ გამგეობას ენერგიული ზომები მიიღოს ამ საქმის ჩქარა დასამთავრებლად და გადაიდვას საამშენებლო ფონდისათვის ამ ჟამად 30 ათასი მანეთი და შემდეგ კი შეეძლების დაგვარათ.

4. მინამ ჭიათურის საზოგადოებას საკუთარი სარალხო სახლი ექნებოდეს, მანობამდის კულტურული მუხშაობის შეწყვეტა და შეჩერება ყოვლად დაუშვებელია, -აც შეეხება არსებულ შენობაში მუშაობის გაგრძელებას, ესეც მოუხერხებელი და შეუძლებელი ხდება, ამისათვის კრება ავალებს გამგეობას აღძრას შუამდგომლობა ქ. ჭიათურის გამგეობის წინაშე, რათა მან მიიღოს თავის გამგებლობის დამფარველობის ქვეშ არსებული სახალხო სახლი და შეუკრას სახლის პატრონს საიჯარო პირობა, რომელსაც ამა წლის 1 ივნისს გაუთავდა ვადა, აგრეთვე ნება ეძლევა გამგეობას გასწიოს საჭირო ხარჯები თეატრის დარბაზის გასაფართოებლად.

ამასთანავე ეთხოვოს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს აღმოუჩინოს საზოგადოებას ამ მიზნისთვის ნივთიერი დახმარება არა ნაკლებ 100. 000 მანეთისა იმ თანხიდან, რომელიც ყრილობას გადადებული აქვს ასთი მიზნებისათვის.

5. ნუცა ჩხეიძის იუბილეის გამართვის შესახებ იქონია რა კრებამ მსჯელობა, დაადგინა: ეთხოვოს გამგეობას იქონიოს ნ. ჩხეიძის იუბილეის გამართვა მხედველო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაში და შესაფერ დროს მოიწვიოს ჭიათურის საზო-ება საიუბილეიო კომისიის ასარჩევათ და იუბილეის გასამართავათ.

6. სახალხო კულტურის საზოგადოება ახალი საკითხია არა ჭიათურისთვის, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკისათვის. ამ ფრიად მნიშვნელოვან ახალ საკითხის შესახებ ვრცელ. მოხსენებას აკეთებს ბ. ის. ვარაზაშვილი განმარტა რა დეტალურათ ამ დიდი ორგანიზაციის მიზან-სურვილებს კონკრეტიულათ ჩამოაყალიბა მუხლობრივ მისი ფუნქციები. კრება უკამათოთ იწონებს და ღებულობს რა ბ. ვარაზაშვილის მოხსენებას, სასურველათ მიაჩნია დაარსება ერთი სახალხო კულტურის საზოგადოებისა, რომელშიაც თავი უნდა მოიყაროს საკულტურო ორგანიზაციებმა ადგილობრივ. ამასთანვე ავალებს გამგეობას, რომ თუ მოწვეული იქნება კონგრესი სრულიად საქ. საკულტურო ორგანიზაციებისა საერთო ცენტრის შესაქმნელათ, მიიღოს ამ საქმეში სათანადო მონაწილეობა საზოგადოების სახელით.

7. მიმდინარე კითხვებში წამოიჭრა მხოლოდ მომავალ მოქმედების საკითხი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება ავალებს გამგეობას მიიღოს ზომები, რომ სცენის მოყვარეთა დახმარებით და მოწვეულ ხელმძღვანელთა თანამშრომლობით განაგრძოს სახალხო წარმოდგენების სისტემატიური მართვა. ამასთანავე ეთხოვოს გამგეობას იზრუნოს ადგილობრივ კულტურულ ძალთა შემოერთებისათვის და მათი დახმარებით მოაწყოს სახალხო ლექციები, კითხვები და სხვა კულტურული გასართობები

8. დასასრულ არჩევნების დროს წარმოდგა მხოლოთ ერთი სია და ერთხმად იქმნა არჩეული შემდეგი თანამდებობის პირნი. გამგეობის წევრებათ:

1. ისიდორე სოფ. ვარაზაშვილი. 2. ისიდორე დომენ. ხარატიშვილი, 3. გიორგი სპ. ნუცუბიძე, 4, ივანე ლაზ. თევზაძე, 5 იოკიმე პეტრიაშვილი, 6 ნიკიფორე ლუკას ძე ასათიანი, 7. თევოფილე ჭოხონელიძე, მათ კანდიდატებათ: 1 ანდრო ივ. კობიძე, 2 პელოდა მინადორა წერეთლის ასული, სარევიზიო კომისიაში არჩეული იქმნენ: 1. თეოფილე კალანდაძე 2. ეკატერინე წერეთლის ასული- 3. ირაკლი დეკანოზიშვილი, მათი კანდიდატებათ. 1 ბაბო ბარათაშვილის ასული 2 გიორგი რუხაძე.

**გამგეობის მოხსენება.** 1919 წელს 16 მაისს შეიკრიბა თქვენ მიერ ახლად არჩეული გამგეობა და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. პირველყოვლისა არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ ისიდორე ვარაზაშვილი, მის ამხანაგად ალექსანდრე გამრეკელი, მდივნად ნიკიფორე ასათიანი და ხაზინადრად იოკიმე პეტრიაშვილი, რომელნიც დარჩენ ამ თანამდებობაზე დღემდის.

შემდეგ ამისა გამგეობა შეუდგა საქმეებისა და ქონების ჩაბარებას.

როგორც მოგეხსენებათ, შარშანდელმა საზოგადო კრებამ ერთხმად ალიარა, რომ არსებულ შენობაში თეატრის დარბაზის დატოვება შეუძლებელიაო და მოითხოვა უკეთესი ბინის მონახვა.

უპირველესად ყოვლისა გამგეობამ ამ გარემოებას იაქცია ყურადღება და მაშინათვე შეუდგა მუშაობას ამ, ნიადაგზე.

მოიწვია სპეციალისტების კომისია, რომელთა დახმარებით გამგეობა ეცადა მოენახა შესაფერი შენობა სათეატრო დარბაზის მოსაწყობათ,

გამგეობამ და კომისიამ დაათვალიერა ბევრი შენობები და არც ერთი მათგანი არ გამოდგა ამ მიზნისთვის. ბოლოს გამგეობა შეჩერდა დიდი ხიდის პირდაპირ პავლიდის მამულზე. სადაც დარჩენილია დამწვარი შენობის კედლები და ეს ადგილი მოწონებულ იქნა დროებით შენობის ასაგებათ. ამისთვის მივმართეთ მრეწველთა საბჭოს, რომ მათ დაეთმოთ ჩვენთვის ქუთათელაძისეული შენობა (რკინის გზის გასწვრივ) უფასოდ, რომლის მასალაც უნდა გაგვეხმარა ამ საქმისთვის და ამასთანავე მოეცათ 20.000 აგური. ამ დროს შემოვიდა წინადადება ვანო მოდებაძისა მისი ადგილის შეძენის თაობაზე (წყლის პირად, დიდ ხიდთან) თეატრის შენობისთვის.

ასეთ ძიებას და იმ თანაგრძნობას, რომელიც ჰპოვა გამგეობამ საზოგადოებაში და ადგილობრივ დაწესებულებაში ამ საქმის გარშემო, შედეგად მოჰყვა ის, რომ გამგეობაში დაიბადა თამამი აზრი ჭიათურაში დიდი სახალხო სახლის აგების შესახებ გიოოგი ზდანოვიჩის სახელზე, რომლის აშენებაზე ერთდროს ლაპარაკი იყო მრეწველთა წრეებში. ამის შემდეგ ჩვენ დავადექით გარკვეულ გზას. თავი დავანებეთ სხვა ბინის ძებნას და გადავსწყვიტეთ შეგვეკეთებია არსებული დარბაზი იმდენათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დროებით იქ დარჩენა და მთელი გულის ყური მივაქციეთ სახალხო სახლის აგების საქმეს. მაშინათვე მივმართეთ შესაფერი წინადადებით აქ არსებულ დაწესებულებებს: ქალაქის გამგეობას, მრეწველთა საბჭოს, კოოპერატივთა კავშირს და სააქციო საზოგადოებას, რომ მიეღოთ მონაწილეობა ამ დიდ საქმის განხორციელებაში. საბედნიეროდ, ყველასაგან მივიღეთ თანხმობა და თანაგრძნობა და გაიმართა წინასწარი მოლაპარაკება მათთან. ქალაქის გამგეობამ იკისრა ამ საქმის მოგვარება და მისი დახმარებით და ქალაქის საბჭოს დასტურით დაარსდა მუდმივი კომიტეტი, რომელიც ითვლება ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტად და რომელსაც დაევალა სახალხო სახლის აშენება. ამ კომიტეტში შედიან ორ-ორი წარმომადგენელი ყველა ზემოდ დასახელებული დაწესებულებიდან და უკვე მუშაობს 1919 წ. 22 სექტემბრიდან.

კომიტეტში შედიან აგრეთვე დრამატ. საზ. წარმომადგენლებიც რომლებიც ითვლებიან პრეზიდიუმის წევრებათ.

კომიტეტის თხოვნით ქალაქის გამგეობამ მოახდინა ჩამორთმევა იმ ადგილებისა, რომელიც მოწონებულ იქნა სახალხო სახლისთვის, სახელდობრ-დიდ ხიდთან ჩომახიძის, მოდებაძის, და წერეთლების ადგილი და ამ ჟამად მზად არის საჭირო ადგილი, მზადდება მასალა და გამომუშავებულია საერთო გეგმა სახლისა, რომლის პროექტიც ამ მოკლე ხანში იქნება შედგენილი.

კომიტეტი ყოველს ღონეს იხმარს, რომ მომავალ გაზაფხულზე, როდესაც შესრულდება 25 წელიწადი გიორგი ზდანოვიჩის მოღვაწეობის დაწყებიდან მრეწველთა საბჭოში, ჩაიყაროს საფუძველი სახალხო სახლისა და ახლო მომავალში დასრულდეს მისი აშენება.

რაკი საქმე ამნაირად დატრიალდა, გამგეობა შეეცადა მიეღო ზომები და იმდენად შეეკეთებია ეხლანდელი დარბაზი. რომ შესაძლებელი ყოფილიყო მასში დროებით დარჩენა და ამ მიზნით ჩვენ შევაკეთეთ დარბაზი მოვუმატეთ 50-მდე ადგილი, გავაუმჯობესეთ მისი გათბობა, განვაახლეთ ქალაქის გამგეობის დახმარებით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა





**დათიკო კერესელიძე**

ცნობილი სამხედრო ექიმი სადარაჯო ათასეულისა დაიკრძალა ივნისის 30 დიდუბის ეკლესიაში.

ნათება და დავასუფთავეთ იმდენად, რომ საზოგადოებას აღარ ეზარებოდა აქ სიარული.

როგორც მოგეხსენებათ, 1918-ში და 1919-ის დასაწყისში სისტემატიური მუშაობა ჩვენს თეატრში არა სწარმოებდა. ამის მიზეზი უმთავრესად იყო ომიანობა და კრიზისი, რომელმაც დაარღვია და დაქსაქსა სცენის მოყვარეთა ძალები და ძნელი შეიქნა მათი თავის მოყრა. ამის გამო თუმცა ხანგამოშვებით იმართებოდა თეატრში წარმოდგენები და სხვა და სხვა გასართობები, მაგრამ ისინი ყველა კერძო ინიციატივით ხდებოდა და გამგეობას თავისი ორგანიზაცია ამ საქმისთვის არა ჰქონია.

ჩვენ იმთავითვე შევეცადეთ შეგვევსო ეს ნაკლი და მივიღეთ ამისთვის საჭირო ზომები. წასული წლის მთელი ზაფხული მოვანდომეთ ერთი მხრით ბინის და სახალხო სახლის საქმეს, და მეორე მხრით სცენის მოყვარეთა თავის მოყრას და ჩვენს გარშემო შემოკრებას.

რამდენიმეჯერ დავსძლიეთ გაჭირვებას, მაგრამ სცენის მოყვარე ქალების უყონლობის გამო საქმე მაინც ვერ წავიდა წინ. ამიტომ გამგეობამ გამართა მოლაპარაკება ადგილობრივ ქალთა წრესთან ერთად მუშაობის შესახებ, რომელზედაც მივიღეთ თანხმობა და მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც ქალთა წრემ დაივალა დახმარებოდა თავისი ძალებით სცენის მოყვარეთა წრეს, ხოლო მათ მისცემოდათ წმინდა შემოსავლიდან ერთი მეოთხედი ქალთა წრის გამგეობის სასარგებლოდ. ეს მოხდა ოქტომბრის დამლევს და უკვე ნოემბრის პირველი რიცხვებიდან გაიხსნა სისტემატიური წარმოდგენების მართვა, რომელიც დღემდე მიმდინარეობს.

ამას გარდა, რომ უფრო მჭიდროთ შევვეკავშირებია სცენის მოყვარეთა წრე ერთურთ შორის და თეატრთან, ჩვენ დაუნიშნეთ ძველ დამსახურებულ მუშაკთ საკუთარი და შედარებით ახალგაზრდა დამსახურებულ სცენის მოყვარეთ ორს ერთად ბენეფისები. თუმცა იმ თავითვე შევეცადეთ მოგვეწვია გამოცდილი ხელმძღვანელი ჩვენი სცენის მოყვარეთა წრისთვის, მაგრამ დიდხანს ვერ ვიშოვნეთ შესაფერი და სასურველი თანამშრომელი და მხოლოდ 1 მაისიდან შევსძელით მოგვეყვანა აქ ამ ზაფხულში სამუშაოდ ბ. ვასო არაბიძე თავის მეუღლით ამირი ჯიბის ქალით.

ამ შვიდი თვის განმავლობაში ჩვენ გავმართეთ 25 წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო 5150 კაცი—ორთა შუა რიცხვით 206 კაცი, რაიც იშვიათია ჩვენი საზოგადოების ისტორიაში. თუმცა ფასიბი ყოველთვის ზომიერი იყო, მაგრამ მაინც შემოსავალი იმდენად თვალსაჩინო რომ ხარჯების მეტ ნაწილს თამამათ ჰფარავს. იმ დროისროდესაც შემოსავალი წარმოდგენებიდან და სალომოდან უდრის 79 000 მანეთ ხარჯი არის მხოლოდ 72000 მან. ამ რიგათ გამგეობამ დაჰფარა ხარჯები 18 თვის 7 თვის მუშაობით და ზარალი არ უნახავს. ამ შედეგს ჩვენ მივაღწიეთ სცენის მოყვარეთა ენერგიული და დაუღალავი მუშაობით და ქალთა წრის დახმარებით, რისთვისაც მათ გამგეობა გულწრფელ მადლობას უძღვნის.

გარდა ამისა ჩვენი მუშაობა მით იყო ფრთაშესხმული და გათამამებული, რომ სანაქებო თანაგრძნობით და სიყვარულით ეპყრობოდნენ ჩვენი დემოკრატიული ორგანიზაციები—ქალაქის გამგეობა და კოოპერატივები, რომლებმაც უხვი დახმარებით და შემოწირულებით გაამაგრეს ჩვენი საქმე. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. კულტურული დაწესებულებანი დემოკრატიის ღვიძლი შვილია და როგორ შეიძლებოდა, რომ იგი, დემოკრატია—სიყვარულით არ ეპყრობოდეს ისით კულტურულ დაწესებულებას, როგორც არის ჩვენი სახალხო თეატრი, რომელსაც ხელთ უპყრია დემოკრატიის გრძნობის და გონების განათლების ლამპარი.

გამგეობა მოვალედ სთვლის თავის თავს წინადადება მისცეს კრებას ულრმესი მადლობა უძღვნას ამ დაწესებულებებს და სთხოვს მათ შემდეგშიც არ მოაკლონ თავისი დახმარება და მფარველობა ჩვენს საზოგადოებას.

დასასრულ გამგეობა მოახსენებს კრებას, რომ დაწყებული მუშაობის გაგრძელება შესაძლებელია, თუ საზოგადოების თანაგრძნობას და მხურვალე მონაწილეობას იგი მოკლებული არ იქნება.

(ანგარიში დაიბეჭდება შემდეგ ნომერში)

---


გამოვიდა

# ნოე ჟორდანიას

თხზულებათა პირველი ტომი

**თბილისის ხელის მომწერლებმა** უნდა მიიღონ გამომცემლობის კანტორაში რუსთაველის პრ. № 26. ვისაც შემოტანილი აქვს ბე ყველა თხუთმეტი ტომის 450 მან. თითო ეკზემპლიარზედ, იმათ უნდა წარმოადგინონ ნაღდათ 70 მან.

სხვა ხელის მომწერთა მიერ შემოტანილი ბე დარჩება გამოცემის დასრულებამდის და ამ ჟამად ნაღდათ უნდა შემოიტანონ წიგნის **მთელი ღირებულება 100 მ.**

**პროვინციის ხელის მომწერლებს** ამავე წესით გაეგზავნებათ წიგნი ფასდადებით ფოსტით.

**ქუთაისში კი ხელის მომწერლები** მიიღებენ წიგნს გამომცემლობის სააგენტოში ის დორე კვიცარიძესთან.

ხელის მოწერა გაგრძელდება 15 ივლისამდის.

ნოე ჟორდანიას თხზულებანი II ტ. 110 მან.



**რედაქტორი იოსებ იმედაშვილი** **გამომცემელი ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა**

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ., № 26.